საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 31 დეკემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] დღე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ [illegible] მისა 80 მანეთი. ნიხია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 299 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებ[illegible]სა № 299

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ნიკოლოზის ძე ჩხეიძის შვილები გრიგოლ, სვიმონ, დათიკო და მარიკო აუწყებენ თავის ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პირველი სიდედრი და დანარჩენი საყვარელ ბებიას

ფატმან იესე ამაშუკელის ასულის საყვარელიძის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩა, ოთხშაბათს, 31 დეკემბერს. (3427 2—2)

დეკანოზი იოსები, ექიმ სოლომონი, მეუღლენი მათი ოლგა და მარიამი წერეთლები, ოლინკა დგებუაძისა, მარიამ აბდუშელიშვილისა, მატრონა აბაშიძისა და კატო და ილია ბეჟანის ძე წერეთლები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ქ. თფილისში გარდაიცვალა უსაყვარლესი მამა და ბიძა მოძღვართ-მოძღვარი

დეკანოზი—ნიკოლოზ წერეთელი

მიცვალებულს გაასვენებენ რკინის გზის სადგურზე სამშაბათს, დეკემბრის 30-ს, საღამოს 4 საათზე რკინის გზის საავათმყოფოდან. დაკრძალვა სოფ. ცხრუკვეთში პარასკევს იანვრის 2-ს წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3435—3—2)

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი, თფ. ქალთა მე-7 წმ. ნინოს გიმნაზიის დირექტორი ალექსანდრე და შტაბს-კაპიტანი ვლადიმერ იოსების ძენი წერეთლები, ნინო ფარნაოზ დგებუაძის ასული, მიხეილ, ალექსანდრა, თამარა, ნიკოლოზი, ელენა, ნინო, ნიკუშა, და ოლიკო წერეთლები, თალიკო და სოსიკო ვარაზაშვილები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ქ. თფილისში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ბაბუა (პაპა) მოძღვართ-მოძღვარი

დეკანოზი—ნიკოლოზ წერეთელი

მიცვალებულს გაასვენებენ რკინის გზის სადგურზე სამშაბათს დეკემბრის 30-ს, საღამოს 4 საათზე დაკრძალვა სოფ. ცხრუკვეთში პარასკევს იანვრის 2-ს. (3435—2—2)

სვირის ოლქის სამღვდელოება აუწყებს საზოგადოებას, რომ ქ. თფილისში გარდაიცვალა მათთვის მარადის საყვარელი და დაუვიწყარი მოძღვართ-მოძღვარი მცხოვანი

დეკანოზი—ნიკოლოზ წერეთელი

დაკრძალვა სოფ. ცხრუკვეთში პარასკევს, იანვრის 2. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. (3435—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე ელისაბედ ივანეს ასული, ძმები: დავით და გიორგი დიმიტრის ძენი, რძალი ტერეზი, ძმისშვილებით ქელიძეები, ძმა ასლან, რძალი ტერეზი კალანდაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

მიხეილ (მისაკო) დიმიტრის ძე ქელიძის

რომელიც რკ. გზით წაასვენეს 30 დეკემბერს გურიაში, რომლის დასაფლავება მოხდება ბახვის ეკლესიის გალავანში. (3447 1—1)

კაფე-რესტორანი **26 მაისი**

უფროს ოფიცერთა დამხმარე საზოგადოების

რუსთაველის პროსპ. 24.

ოთხშაბათი 31 დეკემბერი

ახალი წლის შეგებება

ღამის 11 საათზე 12 კეთილ ფერიების გამოცხადება. ნიღბებში (მასკა) ყოფნის მსურველ მანდილოსნებს ეძლევათ უფასოთ დომინო და ნიღაბი.

მენიუ

1) ხიზილალა, ორაგული, დოში, შაშხი, ყველი.
2) მაიონეზი ზუთხით და ორაგული პოლონურათ.
3) ინდაური და წიწილა სალათით.
4) ნაყინი (მაროჟნი) ხილი და სხვა, ღვინო და ლიქიორი.

მაგიდების დაკვეთა შეიძლება ტელეფონითაც № 19—77. თითო მაგიდა ღირს 50 მანეთი. შემოსვლა უფასოა.

(ნ. 1—1) საზოგადოების გამგეობა.

საგო

იტალიური აქციონერული საზოგადოება

საგო

ულოცავს თავის კლიენტებს მომავალ ახალ წელს

ადმინისტრატორ-დელეგატი გ. ზ. ოგნეზოვი.

მთავარი გამგეობა რომში. გენერალური განყოფილება ქ. ბათუმში, მარინის პრ. № 31. (3437—1—1)

გამოვიდა

და იყიდება ახალი რომანი

„მერი“

მოძღვრად ვალერი ჯგარიძის და სიტყვა ავტორი გალაქტიონ ტაბიძის სურათებით. ფასი 15 მან. დაკვეთა შეიძლება კანტორა „განათლებაში“. (3442—1—1)

მომარაგების სამინისტრო

სამინისტროს ცნობით, სახელმწიფო მონოპოლიის კანონის გამოცემის შემდეგ მატყლზე და თუთუნზე, ზოგიერთი ვაჭრები სასპეკულაციო მიზნით ახდენენ ყიდვა გაყიდვის მორიგებას უკანა რიცხვებით.

მომარაგების სამინისტრო აფრთხილებს ყველა იმ პირთ, ვინც შენიშნულ იქნება ზემოთ აღნიშნულ საქმეებში, იქნებიან დასჯილი რესპუბლიკის კანონის მთელი სიმკაცრით.

(ნ. 1—1) მომარაგების სამინისტრო.

მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი 129)

ახალი წლის შეხვედრა

ფრიად საინტერესო პროგრამით

კაბარე — ხაზანდარი, ორკესტრი, ცეკვა, სიმღერა, და სხვა.

ვახშამი — მსურველთ შეუძლიათ წინდაწინ ჩაეწერონ კლუბის კანტორაში.

სტუმრები საზოგადო წესით. (ნ. 2—2)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

ბარგის გადაზიდვა

საბარგო ავტომობილებით (25 ფუთიდან) ოლღას ქ. № 29. ქალაქთა კავშირის მექანიკური სახელოსნოები, ტელეფონი 1—60. (ნ. 6—3)

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი

საქ. რესპ. ქალაქთა კავშირმა მოაწყო ავტომობილთა მიმოსვლა თფილისსა და დუშეთს შორის. თფილისიდან გადის ექვს ადგილიანი სამგზავრო ავტომობილი ყოველ დღე ქალაქთა კავშირის მექანიკურ სახელოსნოებიდან, ოლღას ქ. № 29, დღის 2 ნახ. საათზე, დუშეთიდან გამოდის ყოველდღე დილის 7 ნახ. საათზე. სამგზავრო ბილეთი თფილისიდან დუშეთამდე და დუშეთიდან თფილისამდე ღირს —250 მანეთი.

დარჩენილ გაუყიდველ ბილეთებიდან გაიყიდება ბილეთები თფილისიდან მცხეთამდე—150 მანეთი, დუშეთიდან მცხეთამდე 200 მანეთი. (ნ. 5—3)

ჩვენი ბათუმი

გუშინდელ ჩვენ მოწინავეში მკითხველი გაეცნო რუსეთის „ნაციონალური ცენტრის“ მრისხანე მემორანდუმს ინგლისისადმი. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთის საზოგადოების განუსაზღვრელ აღშფოთებას იწვევს ამიერ-კავკასიაში ინგლისელთა მოქმედება, განსაკუთრებით ხაზგასმულია ბათუმი. ბათუმი მოსვენებას არ აძლევს რუს რეაქციონერებს, ის ვინც პეტერბურგს გამოითხოვს და ოდესას ეთხოვება, ბათუმზე ოცნებობს თუმცა ეს საოცარი ახირებულებაა, მაგრამ ეს ასეა. არსებითათ რუს რეაქციონერებთან ამ საგანზე კამათი რა საჭიროა. ამ მემორანდუმმა მხოლოდ კიდევ ერთხელ უნდა მოგვაგონოს ისედაც ჩვენთვის დაუვიწყარი ბათუმის საკითხი.

ეს დიდი საკითხი, რესპუბლიკის საარსებო საკითხია მუდამ უნდა იდგეს და იდგა კიდეც ჩვენი ყურადღების ცენტრში. ის ხშირათ დგებოდა ჩვენი მოქმედების ცენტრათაც, მაგრამ დამოუკიდებელ მიზეზების გამო იხსნებოდა დღიურ რიგიდან, რათა შემდეგი, უფრო მოხერხებული დღეებისათვის გადაგვედვა მისი საბოლოო გადაჭრა. შემოდგომის დასაწყისში მოლაპარაკებამ ვერ დაამთავრა ეს საქმე და თითქოს გადაკვრით გვემცნო, რომ ეს საკითხი უნდა გადადებულიყო კონფერენციის მიერ საერთოთ ყოფილ რუსეთის საკითხის გადაჭრამდე, ხოლო არა უგვიანეს, ამა მიმდინარე წლისა. დღეს კი ამ წლის უკანასკნელი დღეა. ხოლო ბათომის საკითხის გადაჭრას ჯერ პირი არ უჩანს. კონფერენციამ საქართველოს საკითხი ჯერ ვერ გადაჭრა და ბათომის კითხვაც ჰაერშიდაა გამოკიდებული. ეს კი დაუშვებელია, დაუშვებელია მით უმეტეს, რომ ინგლისის პოზიციაში ამ შემთხვევაში არ არის დაცული ლოღიკა. მართალია, ბათომის საკითხი საქართველოს ბედთან ერთად უნდა გადაწყდეს, მაგრამ ეს სწორეთ იმას ნიშნავს, რომ მათი ბედი ერთი და იგივე, ერთნაირი უნდა იქნეს, ვინაიდან პირველი მეორეს ორგანიული ნაწილია. ერთნაირი იქნება საქართველოსა და ბათომის ბედი კონფერენციის შემდეგ, და ამიტომ ერთნაირივე უნდა იქნეს დღესაც, კონფერენციამდე.

ყველგან დიდი გაჭირვებაა დღეს, დიდათ დაღხინებული არც ჩვენა ვართ, მაგრამ ბათომის მდგომარეობა პირდაპირ ტრაგიკულია. ბათომი მალე შიმშილის მსხვერპლი გახდება, სიძვირემ იქ საზღაპრო სიმაღლეს მიაღწია, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, იქ დღეს უძლიერეს სახელმწიფოს ხელისუფლებაა, თითქოს იქ, ჩვენთან შედარებით, პირველ შეხედვით, სამოთხე უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არაა და ადვილი გასაგებიცაა. იტანჯება, ლამის დასჭკნეს და გახმეს სხეულის ის ნაწილი, რომელიც თითქმის სავსებით მოკვეთეს დედა ორგანიზმს, სტანჯავს და აავადებს ეს გარემოება თვით დედა სხეულსაც. ბათომი ჩვენი რესპუბლიკის სხეულზე ერთ დაჩირქებულ ადგილათ გადაიქცა, ის ნაწილია, ორგანიული ნაწილია ჩვენი რესპუბლიკის და იმავე დროს ის ამ ჟამათ არ არის ჩვენი ნაწილი, რესპუბლიკის სხეულს ნაჭანებში თოკი გადაუჭირეს და სისხლის ნორმალური ტრიალი შეაჩერეს. ასეთი ექსპერიმენტის გამო ბუნება, ფიზიკის კანონები, სჯის მთელ სხეულს.

საქართველო ვერ ეხმარება და ასეთ ფორმალურ მდგომარეობაში ვერც დაეხმარება ბათომს ეკონომიურათ, სურსათით; იმავე დროს, თვით ბათომი და მისი ოლქი შეიქნა საქართველოსთვის ეკონომიურ უბედურების მიზეზი, ის გადაიქცა სპეკულიანტთა და კონტრაბანდისტთა ბაზათ, რომელიც ღრღნის საქართველოს სხეულს, არა მარტო ნატანების, არამედ ოჩამჩირე-სოხუმის სანაპირო კონდრაბანდის მომწყობი და მაწარმოებელია ბათომი. ასეთი გარემოება, რომ შიგ საქართველოში არის ისეთი ნაწილი, რომელიც ფაქტიურად უცხო სახელმწიფოს წარმოადგენს, ხელს უცარავს და ძირს უთხრის ჩვენს ისედაც სუსტ ეკონომიურ მდგომარეობას.

იმავე დროს საქართველოს დემოკრატიის ტრაგედია იმაშია, რომ მას უნდა დაეხმაროს ბათუმს, უკანასკნელი ლუკმა გაუნაწილოს მშიერ ძმას, მაგრამ ამის საშუალება მას არ აქვს, ვინაიდან ამ ოლქის უფლებრივი მდგომარეობა ჯერჯერობით ამის საშუალებას არ იძლევა.

საქართველოს ნაწილი ბათუმი უდიდეს გაჭირვებას განიცდის. ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული მეტოქე ბათუმის საკითხში დენიკინი უკვე მიდის ისტორიის ასპარეზიდან. სამხრეთისაკენ მეორე ტალღა მოგორავს და მას საქართველო არა ნაკუწნაკუწათ, არამედ გამთლიანებული და ერთ კლდეთ გასალებული უნდა დაუხვდეს. 1919 წელიც უკვე გავიდა, ხოლო კონფერენციის საერთო გადაწყვეტილებას ჯერ პირი არ უჩანს, ყველაფერი ეს გვავალებს, რომ ბათუმის საკითხი დაუყოვნებლივ და მთელი სიგრძე სიგანით დაისვას და ამოიწუროს. შინაური და საგარეო მდგომარეობა მძლავრათ აყენებს ჩვენი მოქმედების დღიურ წესრიგში მის პირველ ადგილს ბათუმის კითხვას.

ჩვენებური „კომუნისტები“

ადგილობრივმა „კომუნისტებმა“ ამ დღეებში ორი მყვირალა მოწოდება გამოაქვეყნეს საქართველოს მშრომელი ხალხის მიმართ.

რამ გამოიწვია მათი ახმაურება? იქნებ ისინი მოუწოდებენ საქართველოს დემოკრატიას, რომ ამ უკანასკნელმა შეერთებულის ძალით დაიცვას თავისი უფლებები და მოსულ მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს? ან იქნებ იმათ წინააღმდეგ ილაშქრებენ, ვინც ცეცხლის ალში გაახვია ჩვენი სოფელი და დემოკრატიის ნდობით მოსილ მთავრობის წინააღმდეგ არავითარ პროვოკაციას არ მოერიდა? ან იქნებ დამშეულ და გაპირვებულ მუშა ხალხზე ზრუნავენ ბოლშევიკ-„კომუნისტები“? ტყუილი იმედია: ისინი საქართველოს მშრომელ ხალხს, გლეხებს, მუშებს და სახალხო გვარდიელებს მოუთხრობენ იმ თავის ამხანაგებზე, რომელნიც მეტეხის ციხეში სხედან და ამ თავის ამხანაგების განსადიდებლად ისინი სიტყვებს არ ზოგავენ ნ. ჟორდანიას დასამცირებლად. საბრალო ბოლშევიკები! რატომ ხალხს არაფერს ეუბნებიან იმის შესახებ, თუ რისთვის სხედან მეტეხში მათი ამხანაგები? რატომ უმალავენ მშრომელ ხალხს სიმართლეს? მაშ ჩვენ ვეტყვით: მეტეხის ციხეში მყოფი ბოლშევიკები არიან დუშეთის გმირები, რომელთაც მცხოვრებლების შეუგნებელი ნაწილი აუჯანყეს დემოკრატიას, რისთვისაც ისინი არ მოერიდენ ყაჩაღებთან კავშირს ავანტიურისტ საშა გეგეჭკორის მეთაურობით. მეტეხში სხედან ის ბნელი პირები, რომელნიც ნასტრაჟნიკალებში ეძებდენ სოციალიზმის მოციქულებს, იქ სხედან ისინი, ვინც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მრავალი ნაძირალას მოუყარა თავი და დემოკრატიის ნდობით მოსილ წყობილების წინააღმდეგ იარაღით გამოიყვანა. მეტეხის ციხეში სხედან ისინი, ვინც საბჭოთა რუსეთიდან მოსულ ფულებით მუშაობდენ. და ამ მოსყიდულ პირებს მფარველობას უწევს ბოლშევიკის ადგილობრივი კომიტეტი.

მერე რას თხოულობენ ისინი?

მათ შიმშილობა მოახდინეს მეტეხის ციხეში და სხვადასხვა გვარი მოთხოვნილება წამოაყენეს.

ამ მოთხოვნილებათა შორის აღსანიშნავია ერთი: ბოლშევიკები მოითხოვენ ფორმალურ კანონის ასრულებას, ისინი მოითხოვენ, რომ მათ წაუყენონ კანონიერის წესით ბრალდება. ამას სჩადიან საბჭოთა რუსეთის მაღმერთებელი პირები, იმ საბჭოთა რუსეთის, რომელმაც ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლები დაატუსაღა. მოციქულის პატივისცემა ველურებმაც კი იცოდენ. არ იციან ეს მხოლოდ ბოლშევიკებმა, მაგრამ მათ მაინც შესწევთ თავხედობა კანონიერებაზე ილაპარაკონ! რასაკვირველია, ჩვენი დემოკრატია და მისი მთავრობა არ არის შეპყრობილი შურისძიების და სამაგიეროს გადახდის სურვილით, და ამიტომ არის, რომ ბ. ბოლშევიკები არხეინად სხედან მეტეხის ციხეში. და ტყვილად ყოყოჩობენ და ხალხის მოტყუებას ცდილობენ ბოლშევიკები, ვითომ მათი შიმშილობა გამარჯვებით და მთავრობის დათმობით დათავებულიყოს. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ჩვენ, რასაკვირველია, დაუშვებლად არ მიგვაჩნია არც დათმობა, თუ კი მთავრობა დაინახავს თავის მოხელეების შეცდომებს. პირიქით, დემოკრატია იმით განირჩევა, როგორც დენიკინისაგან, ისე თვით ბოლშევიზმისაგან, რომ ყოველ კანონიერ მოთხოვნილებას ანგარიშს უწევს. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ ყოფილა, ისე მოხსნეს ბოლშევიკებმა თავისი შიმშილი. და ეს არც გასაკვირია იმ პირებისათვის, რომელნიც უფლების გადიდებისათვის ჯერ კიდევ „კომუნისტურ“ მუშაობის დროს ახდენდენ გაფიცვას.

საერთოდ ბოლშევიკების მოწოდებები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ისინი უფრო მეტს ზრუნავენ თავის თავზე, ვინემ მათ მიერ მოტყუებულ ხალხზე. და როცა ასეთი ხალხი ჩრდილოეთიდან მოსვლით გვემუქრება, ჩვენი მოვალეობაა მათი მოსვლა შეუძლებელი გავხადოთ.

დეპუტატების წასვლა

ამ დღეებში დამფუძნებელი კრება რამდენიმე კვირით მუშაობას შესწყვეტს. დეპუტატები სოფლათ და ქალაქათ წავლენ. ეს არ არის დასვენება. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია დასვენება-მოსვენებაზე ლაპარაკი. ქვეყანა საშინელ კრიზისს განიცდის. ათასგვარი საქმეები მოსაგვარებელი და გადასაკეთებელია. ამ საქმეების მოუწყობლობის სიმწვავეს ყველაზე მეტათ პროვინცია გრძნობს და განიცდის. პროვინცია თითქოს მოწყდა ცენტრს. ცენტრი თითქოს საგრძნობლათ ამაღლდა პროვინციაზე. მათ შორის გაბმული შემაკავშირებელი ძაფები თითქოს შეწყდა თუ წყდება და თუ ის მართლა გაწყდეს, და ასე მთელი სახელმწიფო ორგანიზმი მოიშალოს და დაიღუპოს. ეს საფრთხე იმდენათ დიდია, რომ მას სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა იმან, ვისაც დროთა ვითარებამ და ისტორიამ ქვეყნის მართვა-გამგეობა არგუნა და ცხოვრების გეზზე საპასუხისმგებლო პოსტი ჩააბარა.

დიდი მოვალეობა აწევთ ამ მხრით დამფუძნებელი კრების წევრებს. ისინი დღემდის კანონმდებლობას ეწეოდენ. დიდია ეს მოღვაწეობა, მარა კიდევ უფრო დიდია მათი მოვალეობა საერთოდ ადგილობრივი საქმეების სათანადოთ მოწყობის საქმეში. ის ერთი უმთავრესი შემაკავშირებელი [illegible] უნდა იყოს ცენტრის პროვინციებზე, პროვინციის ცენტრზე. ის უნდა ეცნობოდეს პროვინციის ტკივილებს ადგილობრივ, მიქონდეს ცენტრში, აცნობოს პროვინციას ცენტრის მიერ გადადგმული ნაბიჯები, აუხსნას და განუმარტოს მისი აუცილებლობა, სავალდებულო ხასიათი და სხ. ერთი სიტყვით ის უნდა იყოს პროვინცია ცენტრში და ცენტრი პროვინციაში. მარა არა პირდაპირი განმკარგულებელი და პრაქტიკული აღმასრულებელი. დღევანდელ პირობებში ასეთ მუშაობას მეტად ფართე ადგილი უნდა ეჭიროს დეპუტატის მოვალეობაში და არ უნდა ჩაიკეტოს მხოლოდ და მხოლოდ დეკრეტის და კანონ-პროექტების ფარგლებში.

ჩვენ არ ვამბობთ და არც გვინდა, რომ დეპუტატი იყოს „ходатай“, მაგრამ რომ ის ცოცხალ და მჭიდრო კავშირს უნდა ქმნიდეს ცენტრს და პროვინციის შორის ეს კი აუცილებელია. აუცილებელია თვით დეპუტატისათვის. მოწყვეტა ამომრჩევლებზე, დგომა შორს ადგილობრივი საქმეებიდან—სხვა რომ არა იყოს რა, ხელს უწყობს თვით დეპუტატის ასე ვთქვათ, გაბიუროკრატებას, რაიცა, რა თქმა უნდა, შეუწყნარებელია.

დღეს თუ ხვალ დეპუტატები დროებით განთავისუფლდებიან დამფუძნებელ კრების დღიური მუშაობისაგან და პროვინციებში წავლენ. მათი გარდაუვალი მოვალეობაა არ დაჰკარგონ კერძო, პირად საქმეებში არც ერთი წუთი, მოიარონ სოფლები და ქალაქები, წარუდგენ ხალხს პირისპირ, აცნობონ ცენტრის მუშაობა, გაიგონ და გაეცნონ ადგილობრივ ტკივილებს, აუხსნან და შეაგნებინონ ხალხს ჩრდილოეთიდან მომდგარი წითელი და შავი საფრთხის საშიშროება, დაანთონ ყოველგან ქვეყნის და თავისუფლების დაცვის კოცონი და ზედ დასწვან და დაფერფლონ შიში და უიმედობა, პოლიტიკური აპატია და [illegible], დააყენონ ფეხზე ყველა სასიცოცხლო ძალები, შეასხან ფრთები მათ შემოქმედებითი აღმაფრენას და ასე ხელი შეუწყონ იმ საფუძვლის განმტკიცებას, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი ქვეყნის თავისუფლება და ბედნიერება.

განი.

დამფუძნებელი კრება

29 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ პრეზიდიუმმა ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად გადასწყვიტა 31 დეკემბერი-

დღეს

ამერიკელი გენერალი ბაშხმას მოწოდებით მთელი ქვეყანიერება უნდა შეერთდეს ევროპის შიმშილობისაგან დახახსნელათ.

იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით იაპონია-ამერიკას შორის უკვე მომხდარა შეთანხმება ციმბირში შეერთებული მუშაობის შესახებ.

გერმანული პრესის აზრით, ამერიკაში გამოცემული იმიგრაციის კანონის მიზანია გერმანელების და იაპონელების გადასახლება.

ბუდაპეშტში აღმოჩენილ იქნა კომუნისტების შეთქმულება, რომლის ბევრი მონაწილეთაგანი შეიპყრეს.

ამერიკიდან სამხედრო მასალის გატანის აკრძალვას ისე უცქერიან, როგორც მექსიკის ბლოკადის დაწყებას.

ბოლშევიკების ცნობით, საბჭოთა ჯარისკაცებმა უარი უთხრეს პოლონელ ლეგიონერებს დახმარებაზე.

დან—18 იანვრამდე შეწყდეს დამფუძნებელი კრების სხდომები კანიკულების გამო, ხოლო სასწრაფო საკითხების გადასაწყვეტათ დღეს მოწვეულ იქნას არაჩვეულებრივი სხდომა, სხდომები მოხდება ერთევე სამშაბათს დილა-საღამოს და ოთხშაბათსაც.

ეს განცხადება მიღებულ იქნა.

ქრ. შარაშიძის ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა—ერობათა რწმუნებულობის ვადის გაგრძელებისა.

გ. ნათაძემ მოახსენა კრებას დეკრეტი—სამოქალაქო უწყებათა—სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების—1919 წ. მაისის 20-სა და აგვისტოს 2 ს დეკრეტის შეცვლისა—განათლების უწყების ყოველი ტიპისა და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა შესახებ.

რ. არხნიძე აღნიშნავს იმ უხერხულობას, რომელსაც ბადებს პროცენტებით ჯამაგირის წესი და მოითხოვს, რომ ასეთი წესი ჯამაგირების მომატებისა შეცვლილ იქნას: უწყებამ თვითონ უნდა შეიმუშაოს საერთოდ თანხა და თვითეულ თანამდებობაზე მომატების რაოდენობა. მასთან მომატება უნდა იყოს თანამდებობაზე და არა პირებზე. ამიტომ ეს დეკრეტი უნდა მოიხსნას.

სოც.-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებით დეკრეტი დაუბრუნდა განათლების კომისიას გადასამუშავებლათ.

ი. სალიყაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—მთავრობის საქმეთა მმართველობის 1919—1920 წ. შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა. **გრ. ნათაძის** და **გ. თევზაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისათვის ერთდროულ დახმარებათ 150000 მან. გადადების შესახებ.

[illegible] მოახსენებს კრებას დეკრეტს—სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა წარმოების შეჩერებისა შინაური საბუთებით შეტანილ—მოპოებულ უძრავ ქონების შესახებ.

ჩვენს ხალხში, ამბობს მომხსენებელი, ძლიერ გავრცელებული იყო შინაური პირობებით ყიდვა-გაყიდვა უძრავი ქონებისა, ეს ხდებოდა განსაკუთრებით სოფლებში; მაგრამ რუსეთის კანონი, რომელიც ჩვენში დღემდე მოქმედებს, არ სცნობდა ამ შინაურ პირობებს და ხშირად გამყიდველი თუ ჩაიდენდა პირის გატეხას—უკან იბრუნებდა თავის მიწას სასამართლოს საშუალებით. ამ დაბრუნებამ მორალი ხასიათი მიიღო რევოლიუციის შემდეგ, როდესაც ფულის კურსი დაეცა. რევოლიუციამდე მიწის საფასურათ აძლევდენ ოქროს. ახლა კი მათ მიწის ფასს უბრუნებენ ბონებით. მრავალი ასეთი ხასიათის საჩივრებია დაგროვებული სასამართლოებში და ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. ეს უკმაყოფილება სამართლიანია. ამიტომ ჩვენ შემოვდივართ დამფუძნებელ კრებაში იმ დეკრეტით, რომლის ძალით ყველა ასეთი საქმეები, შეჩერებულ უნდა იქნას და შინაურ აქტებს, პირობებს მიეცეს ძალა. ძალა ეძლევა იმ პირობებს, რომელიც დადებული იყო 1918 წ. 23 თებერვლამდე. ე. ი. მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვამდე ხშირად მიწას შინაური პირობით ყიდდნენ იმ მიზნით, რომ ვალში არ აეწერათ; ხოლო შემდეგ ისევ იბრუნებდნენ. ეს იყო ერთნაირი მოტყუილება. ჩვენ განვსაზღვრეთ ეს იმით, რომ ჩვენი ხალხის შემეცნებით, ვინც ნამდვილათ გაყიდა მიწა, იმის პირობა შედის ძალაში. სოც.-დემოკრატიული ფრაქციის შესწორებით ეს დეკრეტი უკამათოდ იქნა მიღებული.

ექვთ. თაყაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ერთი მილიონი მანეთის გადადების შესახებ დამფუძნებელი კრების ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენათ.

ალ. ასათიანის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებაში 200,000 მანეთის გადადების შესახებ მოულოდნელ ან წინასწარ გაუთვალისწინებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

30 დეკემბერი.

მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. (ნიკოლაევის რადიოსადგური). ასტრახანის მიმართულებით სიწყნარეა. კამიშინის მიმართულებით დროგამოშვებითი სროლაა. ნოვოხოპერის მიმართულებით მტერმა აიღო სადგური პერეკოპსკაია, მაგრამ კონტრიერიშით იქიდან განდევნილ იქნა და უკუგდებული დონის მარცხენა ნაპირზე. დონის ნაპირებზე ვიდრე ვეშენსკაიამდე ხდება მოწინავე რაზმთა შეტაკებები. ბოგუჩარის მიმართულებით, ნიკოლაევო-პოკროვსკის რაიონში 21 ოქტომბერს სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა მტრის ცხენოსან ჯართან. ბრძოლის შედეგი ჯერ არ ვიცით. ბელოვოდსკის სამხრეთით, იტოვკის რაიონში მოწინავე რაზმთა შეტაკება სწარმოებს. კუპიანსკის მიმართულებით დონის ნაპირებზე მცირე სროლა სწარმოებს. ხარკოვის მიმართულებით ვილეიკა-კაზიმიროვკის ფრონტზე მოწინავეთა შეტაკებები ხდება. პოლტავის მიმართულებით ნოვო-მოსკოვსკიდან და კრემენჩუგიდან ახალი ცნობები არ მოსულა. პირიატინის მიმართულებით ჩვენი რაზმი ხელს უწყობს უკან დახეულ ჯარს დნეპრზე გადმოსვლაში. ჟიტომირის მიმართულება: ჩვენი კიევის რაზმი განაგრძობს დასახულ მიზნის სისრულეში მოყვანას და თავს იყრის ფასტოვის სამხრეთ რაიონში. პროსკუროვის რაიონიდან ახალი ცნობები არ მოსულა. ადესის რაიონში მდგომარეობა უცვლელია.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. დეკ. 29. სამხედრო ცნობა. ნარვის რაიონში ბალტიის რკინის გზის ჩრდილოეთით მედგარი ბრძოლა სწარმოებს. რკინის გზის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა დასძლია რა მოწინააღმდეგე, ბრძოლას აწარმოებს 3—5 ვერსზე ნარვის სამხრეთით. ჩვენ მხარეზე 20 გამოქცეული გადმოვიდა, მათ რიცხვში 2 ოფიცერია. დვინის რაიონში მოწინააღმდეგე, რომელიც დვინსკთან რკინის გზის ხიდზედ შემოტევას ცდილობდა, განვდევნეთ. დასავლეთ დვინასთან მზვერავები მოქმედებენ. პლოცკის რაიონში უშაცკის მიმართულებით მზვერავები მოქმედებენ. ტყვეთ წამოვიყვანეთ რამოდენიმე პოლონელი ლეგიონერი. ბორისოვის მიმართულებით არტილერიის სროლაა. კიევის რაიონში ჩვენმა ჯარმა წინსვლის დროს ტარაშჩიდან ჩრდილო - აღმოსავლეთით 15 ვერსზე მდებარე სადგური ოლშანიცა დაიჭირა. კრემენჩუგის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა გადალახეს დნეპრი და მდინარის მარჯვენა ნაპირზე სოფელთა მთელი რიგი დაიჭირეს. პავლოგრადის ჯარში ჩვენმა ნაწილებმა აჯანყებულ წითელთა დახმარებით ქალაქი პავლოგრადი დაიკავეს. პავლოგრად-ლოზოვსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ლოზოვოიდან 25 ვერსით სამხრეთითა და 40 ვერსით სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფლების ხაზი. ლუგანსკის რაიონში ჩვენ ლუგანსკიდან სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსზე მდებარე სოფლები დავიჭირეთ. აღმოსავლეთით კი ჩვენმა ჯარებმა მტერი მიტიაკინსკის სამხრეთით დონეცის მარჯვენა ნაპირზე გადარეკეს. მილეროვოს რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მილეროვოიდან 35—40 ვერსით სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფლების ხაზზე დაიჭირეს დამატებითი ცნობებით 25 დეკემბერს ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მილეროვოდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 18 ვერსზე დაამარცხა მოწინააღმდეგე. ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვე, 10 ტყვიისმფრქვეველი და სხვა დავლა. მდ. ჩირის რაიონში კრასნოკუტსკის დასავლეთითა და აღმოსავლეთით მტერს ვავიწროვებთ. უსტ-ხოპიორსკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 ვერსის დაშორებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტერი დაამარცხა. ხელთ ვიგდეთ 800 ჯარისკაცი, 16 ოფიცერი, 2 საინტენდანტო საწყობი და სხ. მდ. მედვედიცისა და მდ. ილოვლის შუა ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სოფლები კლეტსკაია და სიროტინსკაია.

ცარიცინის მიმართ. ჩვენ დავამარცხეთ მტრის ცხენოსანი და ფეხოსანი ჯარი, რომელთაც დაგვიტოვეს თავისი არტილერია.

ამას გარდა ჩვენ ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვე, რომელთა შორის ერთი გენერალია, „ობოზი" და სხვა ნადავლი. სემიპალატინის რაიონში ჩვენი წინსვლა გრძელდება. ტომსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მარიინსკიდან დასავლეთით 40 ვერსზე მყოფი სოფელთა მთელი წყება დაიჭირა. **ორიოლი.** დეკ. 27. ქალაქის ცხოვრება ნელნელა კალაპოტში დგება. მუშაობა იწყობა. სურსათი შემოდის. **ტამბოვი.** დეკ. 27. ეპიდემიასთან საბრძოლველათ მიღებულია ზომები. ხალხს ეძლევა საექიმო დახმარება. **მოსკოვი.** დეკემბრის 28. დეკრეტი სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტისა, გამოცხადებული 28 დეკემბრის „უწყებებში", საბჭოთა რუსეთის სამოქალაქო მართვა-გამგეობის გამარტივების შესახებ, გაუქმებულათ გამოცხადდა, როგორც შეცდომით გამოქვეყნებული. **ნაუენი.** დეკ. 28 ხალხთა ლიგაზე იმედგაცრუებული ბელგიის პრემიერ-მინისტრი ახლო მომავალში ლონდონს მიემგზავრება, სადაც უნდა შეიკრას საფრანგეთ-ინგლის-ბელგიის სამხედრო თავდაცვითი კავშირი. **ლიონი.** დეკ. 28. რუს გერმანელთა ჯარი კურლიანდიიდან ლანსდორფში შევიდა. რაზმში მრავლად ურევია რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები. გერმანელები დიდ ჯარს აგროვებენ ზემო სილეზიაში. ამ მიზნით ცდილობენ მიიმხრონ პოლკოვნიკი ბერმონტის რაზმებიც. **სმოლენსკი.** დეკ. 28. პოლონელი ლეგიონერები შეეცადენ წითელ არმიელებთან ლაძმობილებას, მაგრამ ამ უკანასკნელებმა უარით გაისტუმრეს.

გერმანული პრესის ცნობები

ის მადლობა, რომელიც თვით ბერმონტ ავალოვმა გამოუცხადა გერმანიას მისი ჯარის-კაცებისადმი კარგათ მოპყრობისათვის, დიდ თავხედობათ უნდა ჩაითვალოს. მთავრობა დაინტერესებულია იმაში, რომ ბერმონტმა და მისმა ჯარისკაცებმა რაც შეიძლება ჩქარა დასტოვონ გერმანია. ძნელია მხოლოდ ამისთვის გზის გამოძებნა.

სამხრეთმა გერმანიამ და განსაკუთრებით ვიურტემბურგმა სითბოსაგან გამოწვეულ წყალდიდობისაგან დიდი ზიანი მიიღო. წყალი გადასცდა ზემო რეინისა, ნეკკერისა და სხვა მდინარეების კალაპოტებს. რეინიდან დაწყებული მაულბრონისა და შლეტშტადტის რკინის გზამდე მიდამოები წყლით არის დაფარული. რკინის გზის მოძრაობა ადგილობრივ შეწყვეტილია. ხიდიები და მასალები ხე-ტყის ქარხნებიდან წყალს მიაქვს. ცეცხლის მქრობელმა რაზმებმა შობისწინ ღამით მრავალი ადამიანი და საქონელი გადაარჩინეს. შობა დღეს მდგომარეობა რამდენათმე გაუმჯობესდა, მაგრამ მეორე დღეს კვლავ თოვა დაიწყო.

გერმანული პრესა, რომელიც იმიგრაციის შესახებ ამერიკის მიერ გამოშვებულ კანონს არკვევს, უთითებს იმ მუხლებზე, რომლებიც ხელს უშლის იმიგრაციას. პრესის აზრით ამ კანონს მხედველობაში აქვს გერმანელებისა და იაპონელების გადასახლება. ამერიკის საიმიგრაციო კომისიაში ლანსინგის განცხადებას, თითქოს ამერიკაში 10 მილიონ გერმანელსა და ავსტრიელს სურდეს გადასახლება, გაზეთები სრულებით უსაბუთოდ სთვლიან.

ამერიკელმა გენერალმა ბაშმა ამერიკელებისადმი მოწოდება გამოსცა, სადაც ამბობს, რომ მთელი ქვეყანა უნდა შეერთდეს ევროპის შიმშილობისაგან სახსნელადო.

დეპუტატთა პალატაში კლემანსოს მიერ წარმოთქმულ სიტყვის დასკვნებს, რომლებიც ფიუმისა და იტალია—სამხრეთ სლავიის საკითხებს ეხებოდა, იტალიის მთელი პრესა უარყოფს.

უკანასკნელი ფრანგული ცნობები იმ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს კლემანსოს პრეზიდენტათ ამორჩევა უზრუნველყოფილი იყოს. შესაძლებელია შესდგეს კაბინეტი პუანკარეს თავმჯდომარეობით. აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ პრეზიდენტის უკანასკნელ არჩევნების დროს კლემანსო პუანკარეს სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. პუანკარეს ომის დროს მეტათ ეძნელებოდა მინისტრთა თავმჯდომარის ადგილზე კლემანსოს მოწვევა. რესპუბლიკის პრეზიდენტათ ამორჩევამდე პუანკარე მინისტრთა თავმჯდომარეთ იყო და იმ დროს მან ხელი შეუწყო რუსეთ-საფრანგეთის დაახლოვებას.

საფრანგეთის მომგებიანი სესხის პლანი როგორც სჩანს დაინგრა, ინგლისმა უარი განაცხადა თავისი ბირჟაზე საფრანგეთის მომგებიანი სესხი მიეღო.

ლანსინგმა აკრძალა სამხედრო მოწყობილების გატანა. ზოგიერთ წრე ამას უცქერის როგორც მექსიკის ბლოკადის დაწყებას.

საბერძნეთის ხელმძღვანელმა წრეებმა სურვილი გამოსთქვეს კონსტანტინეპოლის საბერძნეთისადმი გადაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი ოსმალეთს არ დარჩება.

ლონდონში მყოფმა „შემრიგებელი ამხანაგობის" წევრთა კრებამ მოითხოვა, რათა საერთაშორისო ქრისტიანულმა ორგანიზაციამ საშობაო მილოცვა გაუგზავნოს გერმანიის ხალხს და სხვა ყოფილ მტრებს. კრებამ რეზოლიუცია მიიღო ხალხთა შორის მეგობრული დამოკიდებულების აღდგენის შესახებ.

ბუდაპეშტიდან მოსული ცნობით იქ დროზე გაუგიათ კომუნისტების შეთქმულება, რომელთაც სურდათ უნგრეთის ეროვნულ ლაშქრის მთავარი შტაბის, მინისტრთა კაბინეტისა და ოპერის აფეთქება. ადმირალი ხორტი უნდა დაეჭირათ ბაქტერიებით მოწამლულ ქინძისთავით. ამბობენ მრავალი შეთქმული შეიპყრეს.

ფრანგული პრესის ცნობები

იაპონიის დეპეშათა სააგენტო ვლადივოსტოკიდან იუწყება იაპონიასა და ამერიკის შორის მომხდარ შეთანხმებაზე ციმბირში შეერთებულ მუშაობის შესახებ. ფრანგული პრესა ბეჭდავს რა ამ დეპეშას, სიამოვნებით ეგებება მას და ამბობს, რომ მარტო იაპონიას შეუძლია მდგომარეობით გამოწვეული სწრაფი და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგომაო.

რომიდან მოსული ცნობით საგარეო საქმეთა მინისტრი, ალბათ, ოთხშაბათს საღამოს გაემგზავრება პარიზს თავის კაბინეტის უფროსის გარბასსოსა და პირად მდივან კაპასო ტორრეს თანხლებით.

რომიდან იუწყებიან, რომ ნიტტიმ ბარრერი მიიღო. „ეპოქის" აზრით ნიტტის ხანგრძლივი საუბარი ბარრერთან მდგომარეობის გამორკვევას ხელს შეუწყობს.

უმაღლესი საბჭო ბერლინიდან პასუხს ელის. „პტი პარიზიენი" სწერს: „გერმანიის მთავრობის პასუხის შინაარსი შეიძლება გერმანიის გაზეთებიდან გავიგოთ, მაგალ. „დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგიდანო". შესაძლებელია ბერლინის კაბინეტმა მოითხოვოს რომ: 1) დიუტასტას ფონ-ლერსნერისადმი სიტყვიერი შეპირების შესრულების ტონაჟის შემცირების შესახებ, მას შემდეგ რაც გერმანიის დელეგაცია ოქმზე ხელს მოაწერს, და 2) რომ საჭიროების დროს ტონაჟი ნაწილობრივ შეცვლილი იქნეს სხვა საქონლით, რომელიც კი გერმანიის სამრეწველოებიდან გამოდის.

ახალი ამბები

◆ **სიკვდილით დასჯა.** ტფილისის საპყრობილეთა ინსპექციამ მოხსენებით აცნობა იუსტიციის სამინისტროს, რომ დუშეთის დროებით, საგანგებო სამხედრო საველე სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა შემდეგ ტუსაღებს: 1) გრიქური იაიანცს, იგივე (ისაშვილი), 2) შაქრო ლალიაშვილს, 3) შაქრო ჟეჟაჯანოვს და 4) ალექსი ეგნაძეს. განაჩენი იქნა სისრულეში მოყვანილი დეკემბრის 17 ს. ზემო ალნიშნულ პირებს გარდა, იმავე სასამართლომ მიუსაჯა გაბო ვერძილს, შიო სონიაშვილს და შაქრო აბრამიშვილს კატორღა პირველ ორს 14 და უკანასკნელს 20 წლით.

◆ **საგანგებო სასამართლო სამტრედიაში.** ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი დეპეშით მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ სამტრედიაში, პალატის პროკურორის წინადადებით, დაარსდა სამხედრო საგანგებო სასამართლო.

◆ **გემ „პოროსის" დაბრუნება.** ფოთიდან გზათა დეპარტამენტს ატყობინებენ, რომ ბათუმით ფოთში მოსულა გემი „პოროსი" ს მეზღვაურნი და ბარჟა № 133 ყველა ჯანსაღათ არიან

◆ **ჯარისკაცთა უნივერსიტეტის** მოსაწყობათ გორში გორის ქალაქის გამგეობამ გადასდო 5,000 მანეთი.

◆ **ამერიკის ახალი კონსული.** იანვრის პირველ რიცხვებში ტფილისში ჩამოვა ამერიკის ახალი კონსული ჩარლს მოზერი.

◆ **ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა** მინისტრმა 27 დეკემბერს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს: „დღეს ცნობები მივიღე, რომ სომხეთის მთავრობამ 21 დეკემბერს, სამხედრო მოქმედება დაიწყო ზანგიბაზარის რაიონის მაჰმადიანთა წინააღმდეგ. იმავე დღეს განადგურებული და აკლებულ იქნა სოფ. კარგაბაზარი 22 დეკემბერს იგივე ბედი ეწვია სოფ. ულუხანლუს. ეხლა ბრძოლა სწარმოებს ს. ს. ჩობანკარს და კარაკიშლაღში. თუ ეს ცნობები მართალია, ცხადია, სომხეთის მთავრობამ ამით დაარღვია 23 ნოემბერს სომხეთის და ადერბეიჯანის პრემიერთა შორის დადებული შეთანხმება. მსურს ვირწმუნო, რომ მაშინ, როდესაც ორი რესპუბლიკის კონფერენციამ უკვე დაიწყო მუშაობა, ხსენებულ შეთანხმებისთვის ზურგის შექცევას სომხეთის მთავრობა არ დაუშვებს და არ შექმნის ნამდვილ დაბრკოლებებს ორ ხალხს შორის კეთილ და მტკიცე ურთიერთობის დასამყარებლად.

◆ **კულტურულ - განმანათლებელ სექციას** ჯარში უნივერსიტეტების და თეატრების მოსაწყობათ ფრონტის დღის მომწყობმა კომიტეტმა კიდევ გადასცა ორმოცდა ათი ათასი მანეთი.

◆ **ჟურნალ „ჯეჯილის"** ოცდა-ათი წლის აღსანიშნავათ გაიმართება 11 იანვარს, კვირას, სახელმწიფო თეატრში „ჯეჯილის" დილა. იგ. გომართელი მიმართავს ყმაწვილებს სიტყვით. იქნება წარმოდგენილი სამ მოქმედებიანი პიესა „მზეთ უნახავი" ვ. გუნიასი გადმოკეთებული. ბალეტი, ლეკური, სიმღერა. (ბილეთები გაიყიდება „ჯეჯილის" რედაქციაში.

◆ **ქალაქის გამგეობის** სას[illegible] განყოფილება აცხადებს იმათ საყ[illegible]ლებით, რომელთაც გამოწერილი [illegible] შეშა სამი დღის განმავლობაში [illegible]ის. წინააღმდეგ შემთხვევაში და[illegible]ბულებათა და კერძო პირთა ორდერ[illegible] გაუქმებული იქნება და მათ შეშა [illegible]ცემათ მხოლოდ დანარჩენ მუშა-მოსა[illegible] სახურეთა დაკმაყოფილების შემდეგ.

◆ **მდ. რიონის მარცხენა ნაპირის** გასამაგრებელი მუშაობის წესი მთავრობამ მოიწონა და 500,000 მანეთი გადასცა ამ საქმისათვის ქალაქ ლანჩხუთის თვითმართველობას და ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობას იმ პირობით, რომ შავ სამუშაოს შეასრულებენ ადგილობრივი მცხოვრებლები ბეგარის სახით. ამ საქმის ტეხნიკური ზედამხედველობა მიენდო მიწად-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოს და მიენდო მასვე შეიმუშაოს სათანადო პროექტი დამფუძნებელ კრებაში წარსადგენად.

◆ **კულტურულ - განმანათლებელი** მუშაობა გვარდიაში. ოთხშაბათს, 31 დეკემბერს, სახ. გვარდიის კულტურულ-განმანათლებელ სექციასთან არსებული დრამატიული წრის სცენის მოყვარეთა მიერ თეატრი „სახალხო გვარდიელ"-ში (საპოროჟ ქუჩა, საპიორთა ყაზარმები) წარმოდგენილი იქნება სამ-მოქმედებიანი დრამა „ბატონი და ყმა" და ვოდევილი „მკვდრები სდგებიან". ადგილების ფასი 10—3 მანეთამდე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ **ფახანაურის ზევით** გუშინ დილით უღრან ტყეში გვარდიელებმა შეტაკების დროს დახოცეს დუშეთის მაზრაში ცნობილი ყაჩაღები: შაქრო ქაფიაშვილი და ქალი კაცურად გამოწყობილი და შეიარაღებული ეკატერინე ოქლაშვილი. აქვე დაჭრილ იქნა ყაჩაღების მოთავე თედო პაპიაშვილი, რომლის გატაცებაც მოასწრეს ამხანაგებმა.

◆ **შობის ხე ბავშვთათვის.** ვერაზე არსებულ გამართობი საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა შობას, ბავშვთათვის ვერის მუშათა კლუბში მოაწყოს შობის ხე. გამგეობა მოუწოდებს საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირთ გაუწიონ თანაგრძნობა და შემოწირულების სახით აღმოუჩინონ შესაფერისი დახმარება. შემოწირულება მიაქვთ, როგორც კლუბის ბინაზე ოლღას ქ. №20), ისე კერძო პირებთან, რომელსაც აქვს გამგეობის რწმუნებულობის მანდატი.

◆ **„ეშმაკის მათრახი".** საახალწლო ნომერი „ეშმაკის მათრახისა" გამოვა დღეს საღამოს. ჟურნალში მოთავსებულია 31 კარიკატურული სურათი და საახალწლო წერილები.

◆ **მეორე ქართულ კლუბმა** თავისი ერთი თვის შემოსავლიდან, ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სოციალურ დახმარების საზოგადოებისა და სამხატვრო ცენტრის სასარგებლოთ გადასდო 80,496 მანეთი.

◆ **თამარ მეფის** სახელობის ქალთა სასტატო სემინარიასთან არსებული მშობლთა წრე აცხადებს, რომ 30 ნოემბერს გამართულმა ყულ ზებით ფულის შეკრებამ მისცა მას 10,633 მან. 32 კაპ., დახარჯა 1000 მანეთამდე და მადლობას უცხადებს საზოგადოებას თანაგრძნობისათვის.

კრებები

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. სომხური სექციის სხდომა შესდგება დღეს, საღ. 5 ს სექციის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 24).

— ხუთშაბათს, 1 იან., საღ. 5 ს. საკუთარ ბინაზე დანიშნულია ახ. მარქ. ორგ. ცეკასა და საპროპაგანდო კოლეგიის არაჩვეულებრივი გაერთიანებული კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ უსათუოდ დაესწრონ.

პროვინციის ქრონიკა

სამტრედიის რაიონის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობის არჩევნები დასრულდა. ხელახლა არჩეულია რაიონულ გამგეობაში თავმჯდომარეთ ივ. კიკაბიძე. მდივნათ კ. ჩაჩუა, თავმჯდომარის ამხანაგებათ: ი. ფოცხვერია და შ. დოლიძე. გამგეობის წევრებათ: ვ. ახობაძე, ე. ჯამბურია, ს. კობრეიძე და სურმავა.

დემოკრატიის ეკონომიური პოლიტიკა

I

საერთაშორისო ომმა და მისმა გამანადგურებელმა შედეგებმა — ვაჭრობამრეწველობის და საზოგადოთ სახალხო მეურნეობის დაქვეითებამ—რადიკალურათ შესცვალეს ომამდე არსებული საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობა. მათ დასწყვიტეს ძველათ არსებული ეკონომიური ძაფები მრავალ სახელმწიფოთა შორის.

ომით საერთაშორისო ცნობილი ევროპის პოლიტიკური წონასწორობის დარღვევასთან ერთად სახელმწიფოთა შორის შექმნილი, ეგრეთ წოდებული ეკონომიური წონასწორობაც დაირღვა; ასეთმა მოვლენამ კი თავის მხრივ საერთაშორისო პოლიტიკურ ანარქიასთან ერთად წარმოშვა ის [illegible] ეკონომიური [illegible] [illegible] ახასიათებს მიმდინარე სა[illegible] [illegible]. მილიტარისტულმა ომმა კაპი[illegible]ზე დაყრდნობილი ბურჟუაზიაც [illegible] ვაჭრობა-მრეწველობის განა[illegible]სა გამო და ამ გზით თვით ის [illegible] ნიადაგი შეარყია, რომლის გა[illegible]თვისაც იყო გამოწვეული ეს [illegible]ორისო ომი.

[illegible]აც იყო, რომ კაპიტალისტუ[illegible] ბურჟუაზიამ, რომლის ხელშიც იყო [illegible] ძალა-უფლება, ვეღარ გა[illegible] რევოლიუციონური საერთაშო[illegible] დემოკრატიის მოძრაობას და ის [illegible]ფოში დამარცხდა, ხოლო [illegible] დამარცხების წინა[illegible]ის. საერთაშორისო კა[illegible] ურთიერთობის დარღვე[illegible] თვით სახელმწიფოებში [illegible]იანათ შეირყა ის სა[illegible] რომელზედაც კაპიტალი[illegible] იყო დაყრდნობილი.

[illegible] განადგურდა მრავა[illegible]ლი [illegible] სახალხო სიმდიდ[illegible] თუ მეომარ, არამედ ნეიტრალურ [illegible]ებშიც, საიდგანაც [illegible] იმავე ომი[illegible] მიზნებისა[illegible]; მეომარ სახელმწიფო[illegible] სიმდიდრის შემქმნელი [illegible]ები ისე განადგურდნენ, [illegible] პირველ მოთხოვნილ[illegible] შიმშილი გამოიწვეს. [illegible]ის და თოფზარბაზნების [illegible] ქარხნები და ომის მო[illegible] ფაბრიკები ხა[illegible] მოთხოვნილებებს ვეღა[illegible]ნენ, საჭირო საქონელ[illegible] ვეღარა მზადდებოდა და [illegible] ნიადაგი მოუმზადა [illegible] ლენს, რომელს[illegible] დება.

პირველ მოთხ[illegible] ფასებმა საზღაპრ[illegible] უხვათ სარგებლობ[illegible] კაპიტალმა. საჭირო [illegible]ბით ყიდვა-გაყიდვა[illegible] ღვრო სიმდიდრის წყ[illegible]

სამრეწველო კაპიტა[illegible] და ანარქიისაგან შექმნ[illegible] გამო დამბლათ დაე[illegible] შემშლელი პირობებ[illegible] ლო კაპიტალი საგრძნ[illegible] ბულობას აღარ იძლ[illegible] იყო, რომ სამრეწვე[illegible] დასტოვა ფაბრიკა-ქ[illegible] ტა მათი კარები და უხვათ [illegible] პეკულიანტებულ სავაჭრო კაპიტალათ გადიქცა.

საწარმოვო ძალების განვითარების ნაცვლად ბურჟუაზია მათი შემაფერხებელი შეიქნა; ეკონომიური წარმატების და აღორძინების მაგივრათ გასპეკულიანტებული ბურჟუაზია პარაზიტად, ხორცმეტად გადიქცა. და ამით ბურჟუაზიის წყვეტა ეკონომიური ცხოვრების მესვეურობა.

სპეკულიაციამ ამ ჟამად მკაფიოდ და ნათლად გამოააშკარავა კაპიტალისტური ბურჟუაზიის მტაცებლური ბუნება, რომელიც წინათ დაჩრდილული იყო იმ ეკონომიური მოვლენით, რომ წარმოების განვითარების და ბურჟუაზიის ინტერესები ერთი და იგივე იყო. ხოლო ამ დიდ ეკონომიურ პოლიტიკური ცხოვრების გარდატეხვა გარდაქმნის დროს წარმოების და ბურჟუაზიის ინტერესები ერთი მეორეს დაშორდნენ, დაცილდნენ, რამაც ბურჟუაზიას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ამიტომაც საერთაშორისო მასშტაბში ჩვენ ვამჩნევთ მრავალ ახალ პოლიტიკურ კითხვებთან ერთად ახალ ეკონომიური კითხვების წარმოშობას და მათ გამწვავებას; წარმოების საკითხის მოგვარება მხოლოდ ძველი ბურჟუაზიული ლიბერალური გზით შეუძლებელი შეიქნა. ხელფასის და აქედან მუშათა საკითხიც სულ სხვა ახალ ეკონომიურ პირობებში მოექცა; ქალაქსა და სოფელ შორის ეკონომიური ურთიერთობაც რადიკალურ ცვლილებებს განიცდის და სხვა.

აქედან წარმოსდგენია ის ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით თანდათან ძლიერდება, და მწვავდება. ეს კრიზისი სარკეა თანამედროვე ანარქო-ქაოტიური ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნაგარდატეხვისა, მისი ახალ ნიადაგზე, ახალ პირობებში ჩამოყალიბების საჭიროებისა.

ამიტომაც პოლიტიკური დემოკრატიისათვის არსებით საკითხს წარმოადგენს შექმნილ ახალ ეკონომიურ მოვლენათა გარკვევა, მათი სათანადოთ გათვალისწინება და ამის მიხედვით მიზან-შეწონილი დემოკრატიული ეკონომიური პოლიტიკის წარმოება.

საქართველოს პოლიტიკური დემოკრატიის დამოუკიდებლობის გამტკიცებისათვის საჭიროა მისი ეკონომიური დამოუკიდებლობის გამაგრება, რისთ-

ვისაც შესაფერი ეკონომიური საშუალებანი და ღონისძიებანი უნდა იქნას მიღებული.

(გაგრძელება იქნება)

ი. ირემაშვილი.

უცხოეთი

საფრანგეთი.

საზავო ხელშეკრულების [illegible] საფრანგეთის სოციალისტ[illegible] თანდათან იმაღლებს ხმას [illegible] ფერენციისა და საზავო ხ[illegible] წინააღმდეგ და ხაზ-გა[illegible] რომ ამ ხელშეკრულება[illegible] მშვიდობიანობა მო[illegible] ქვეყნის ბატონ-პატრ[illegible] გამოჭრილი ქარტა [illegible] ვებს დამოკიდებულებ[illegible] შორის. ამის შესახებ [illegible] შექდავს ვრცელ ს[illegible] რილის ავტორი ა[illegible] ლობის პოლიტიკ[illegible] სურობას და საქმე[illegible] ზიზით იმ გარემოე[illegible] „მთავარი საფუძვ[illegible] კურ წეს-წყობილ[illegible] და მისი ძლიერება ი[illegible] განაგებს ხალხთა [illegible] ცხოვრებას". მისი აზრი[illegible] ხელშეკრულები[illegible] მოლაპარაკება [illegible]—1913 და 1914 წ[illegible] ხელშეკრულებათა სა[illegible] შესახებ ხალხებმ[illegible] არაფერი იცოდნე[illegible] კონფერენციის უმრავლეს[illegible] მოუმზადებელი ი[illegible] შორის ჩინური კედ[illegible] არ აძლევდნენ ხა[illegible] გაეცნობოდა მუშაობას[illegible] მათ მიერ გამომუშა[illegible] აშკარათ სთელავს [illegible] და მხოლოდ იმ[illegible] თუ უწევს მათ ან[illegible] ავტორი აღნიშნავს [illegible] დარღვევას, რომელსაც [illegible] ოსმალეთში, ამერიკ[illegible] დამოკიდებულებაში და სხ[illegible] მიდის: მხოლ[illegible] რჯება მისცემ[illegible] მშვიდობიანობას. [illegible] ხელშეკრულებათა ავტორ[illegible] ხალხის [illegible] და მიზნით დაისა[illegible] ლისა და მისი ინ[illegible]—თვით მათ გამოუ[illegible] სასიკვდილო განაჩენი.

[illegible]პანეთი.

[illegible] შებულკეების გაფიცვა, [illegible] ფართო ხასიათი [illegible] დასრულდა, რომ ყველა [illegible]ხობრები გადავიდა სახელმწიფოს ხელში, რომელმაც გაფიცულებს აღუთქვა ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ბარსელონაში დაიჭირეს მთელი რიგი პროფესიონალურ კავშირთა ხელმძღვანელნი და ქალაქიდან გაძევეს; ამის გამო კავშირებმა გაფიცვა გამოაცხადეს. უკანასკნელ ცნობების თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულება გაუცია დაუყოვნებლივ დააბრუნონ ქალაქში დატყვევებული პირები.

ინგლისი

ინგლისი და ეგვიპტე. ლორდ-კერზონმა ლორდთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც იგი არკვევს ინგლისის პოლიტიკას ეგვიპტეში. გაზეთი „ტაიმს"-ი კერზონის განცხადების შესახებ სწერს: კერზონმა დაამტკიცა, რომ უსაფუძვლოა ეგვიპტელი აგიტატორების აზრი, თითქოს ინგლისის პროტექტორატი ეგვიპტეში მიზნათ ისახავდეს რაიმე ეგოისტურ მისწრაფებას. „თვით მართველობის ორგანოების პროგრესიული განვითარება"—აი რას ისახავს მიზნათ ინგლისი ეგვიპტეში, რომელსაც გაზეთის აზრით კმაყოფილებით გაიზიარებენ ადგილობრივი მცხოვრებნი. მეორე გაზ. „ვესმინისტ. გაზ." სწერს: „უმჯობესია ეგვიპტელებმა გაიგონ, რომ მილნერის მისია იმიტომ კი არ მიდის ეგვიპტეში, რომ წაართვას ხალხს მისი უფლება"; იგი მიემგზავრება მდგომარეობის გამოსარკვევათ, რომ უფრო სამართლიანათ მოხერხდეს ეგვიპტეში წინსვლის საქმის მოწესრიგება.

ამერიკა.

საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. ამერიკის სენატი არ იჩქარის დაამტკიცოს საზავო ხელშეკრულება. თუმცა ყველა ელოდა, რომ სესიის განახლების შემდეგ სენატი შეუდგებოდა ამ საკითხის განხილვას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: ვილსონის მიმართვაში სრულიად არ არის ნახსენები ეს საკითხი. სენატი მხოლოდ მაშინ განიხილავს ხელშეკრულობის დამტკიცების საქმეს, როდესაც წინასწარი შეთანხმება მოხდება ორ ძირითად პარტიათა შორის, რაც წინასწარვე განსაზღვრავს სენატის გადაწყვეტილებას.

ოსმალეთი.

ქ. სმირნის მცხოვრებთა მოთხოვნილება. ქ. სმირნაში საბერძნეთის საოკუპაციო ჯარი ბევრ თვითნებობას სჩადიოდა, რითაც ადგილობრივი მცხოვრებნი საგრძნობლად დაზარალდენ. ეხლა ქ. სმირნისა და სმირნის ვილაიეთის მცხოვრებნი შუამდგომლობით მიმართვენ მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რათა უკანასკნელებმა აიძულ[illegible] საბერძნეთის მთავრობა უკ[illegible] საოკუპაციო ჯარის მიერ მი[illegible]ლი.

სპარსეთი

[illegible]ადერბეიჯანში. გაზ. „რა[illegible] [illegible]ით სპარსულ ადერბეიჯან[illegible] [illegible] ქურთებით ხოის, სალმასისა [illegible]ის რაიონებში ძალზე გავრცე[illegible] ყაჩაღობა, რომელიც აოხრებს [illegible]ბში აყენებს მშვიდობიან მცხოვ[illegible] ყაჩაღები ანადგურებენ ტელეგ[illegible], რის გამო ცნობების დროზე [illegible]კემა ფერხდება და მძარცველებიც [illegible]ფლათ განაგრძობენ თავიანთ საქმეებს.

ადერბეიჯანი.

[illegible]პურხათო საკითხი. 25 დეკემბერს [illegible]რობა მრეწველობისა და სასურსათო [illegible] ახალ მინისტრის, შელიქ-ასლანოვის ინიციატივით მოწვეულ იქნა თათბირი საზოგადო დაწესებულებებისა და პრესის წარმომადგენლების მონაწილეობით. თათბირზე გამოირკვა, რომ ადერბეიჯანში პური ბევრია, მაგრამ მისი განაწილების საქმე ვერ არის მოწესრიგებული, რადგანაც პური სპეკულიანტებსა და კონტრაბანდისტებს უჭირავთ ხელში. რომ ასეთ წესს ბოლო მოეღოს, თათბირმა სურვილი გამოსთქვა, რათა შექმნილ იქნეს ერთი აპპარატი. პურის საქმის მოსაწესრიგებლათ, რომელმაც საჭირო შემთხვევებში უნდა მიმართოს პურის რეკვიზიციასაც.

რუსეთი.

სომხების მობილიზაცია. ბაქოს გაზეთის ცნობით მოხალისეთა სარდლობასთან შეთანხმება მომხდარა, რომლის თანახმადაც ყველა სომხები, რომლებიც 1880-დან 1900 წლამდე არიან დაბადებულნი, გაწვეულნი იქნებიან ჯარში. სომხების რეგისტრაცია ადგილობრივ სომხურ საკონსულოებმა უნდა მოახდინონ. სომხები ვალდებულნი არიან ერთი თვის განმავლობაში გამოცხადდენ სომხურ ნაწილებში.

„დობროვოლიაში". თერგის ოლქის ეკონომიური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. ამის მიზეზები შემდეგია: 1) სათავეში ჩამდგარ პირებს არც უნარი და არც გამოცდილება არა აქვთ გაართვან თავი ათასგვარ გართულებულ საკითხებს; 2) თითქმის ყველა მმართველი პირები ფართე სპეკულაციას ეწევიან და 3) ხალხი სასოწარკვეთილებაში იმყოფება, რადგანაც რწმუნდება, რომ დენიკინის ძლიერება ჰქრება. წარმოება დანგრეულია. ასეთივე საშინელ ეკონომიურ მდგომარეობაშია ოსეთიც. საქონლის მოშენება და მიწის დამუშავება, რომელიც ოსების საარსებო წყაროს შეადგენდა, ბევრჯერ ყაჩაღების და დამსჯელ რაზმის თავდასხმის გამო, სრულიად განადგურებულია.

შრომის სამინისტროსაგან

(ცირკულიარი)

ამით ცხადდება საყოველთაო საყურადღებოთ, რომ თანახმად 1919 წლის 13 დეკემბრის დამფუძნებელი კრების დეკრეტისა (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" ამა წლის 21 დეკემბრისა № 289), რომლითაც შეცვლილ იქნა მე 65 მუხლი მუშათა ავადმყოფობის დროს უზრუნველყოფის დებულებისა, შრომის სამინისტრომ დაადგინა:

იმ პირთათვის, რომელთა დღიური ქირა აღემატება 200 მანეთს ან წლიური ჯამაგირი 60,000 მანეთს, გადასახადი საავადმყოფო კასის სასარგებლოდ იანგარიშება დღიური 200 მანეთის კვალობაზე.

2) ეს დადგენილება ძალაში შედის 1920 წლის 1 იანვრიდან.

შრომის კომისრებს ევალებათ ადევნონ თვალყური, რათა ეს დადგენილება ცხოვრებაში უთუოდ გატარდეს.

შრომის მინისტრის ამხანაგი ალ. ბახტაძე.

ჯავაში

10 დეკემბერი.

ჯავაში საერთოდ ხალხი დაბრუნდა. გაიქცნენ მხოლოდ დამნაშავეები. განიარაღება დასასრულს მიუახლოვდა. სოფლების ცხოვრებამ ელფერი მიიღო. ყვულიის რაიონის განიარაღებაც უკანასკნელ სოფლამდის მოხდა

ნაწილი ცხენოსან დივიზიონისა, რომელსაც კორ. დ. მერელაშვილი ხელმძღვანელობდა, ჯავის რაიონში დაბრუნდა.

ჩასავლის ხეობიდან ცნობა მივიღეთ, რომ რაჭიდან მომავალმა გვარდიამ ხეობა დაიჭირა.

დილის 11 საათზე როკაში რაზმის ნაწილები შევიდა. ხალხი ჩვეულებრივი წესით შეეგება. რაკი გაიგეს ჯარის თანაგრძნობით მისვლა, ხალხი სიხარულმა შეიპყრო. რაზმის უფროსმა შენგელიამ ბრძანება გასცა, რომ 24 საათში ჩააბარონ იარაღი. დაიწყო იარაღის ხიდვა. ნაწილი რაზმისა მ. ილურიძის მეთაურობით გაემართა მარჯვენა მიმართულებით, ედისის ხეობისაკენ, სადაც შეიარაღებული ბანდები წასულიყვნენ.

ედისის ხეობიდან პატარა ბილიკები გადის ურუსტალ თევაქიის უღელტეხილისაკენ, რომელიც მდებარეობს ალზაგცითის და გოცა-ქალასანის მწვერვალებს შუა. ურასტალიდან ბილიკები კი გადადის მდინარე თერგისაკენ, ტრუსოვის ხეობაში.

მეორე გზები მიდის ჩრდილოეთისაკენ როკის უღელტეხილით და მახ-ფანდაქის მაღლობით. როკის უღელტეხილიდან ბილიკები მიდის ქესათ-ყაუმი და იქიდან ზაქაში, რომელიც აბაითი-ყაუსთან მდებარეობს და სადაც ამ ჟამათ სდგას დენიკინის ყაზახთა ცხენოსანი რაზმი.

მიღებული ცნობები ამტკიცებდნენ, რომ შეიარაღებული ბანდიტები, რომლებმაც თან გაიტაცეს მილიციონერი, ტრუსოვის ხეობისაკენ წავიდნენ, მხოლოდ ზოგიერთები კი რამდენიმე დღეა, რაც გადადიან თხილამურებით აღნიშნულ უღელტეხილებზე ჩრდილოეთისაკენ.

მთა ოსეთის საკითხი მართლაც დამაფიქრებელია ჩვენს წინ მრავალი ცნობებია, ამბებია, გამორკვევებია. ამ ექსპედიციაში, რომელშიაც მონაწილეობას იღებს შეგნებული ოფიცრები, გვარდიელები, ჯარისკაცები, გორის საოლქო შტაბის წევრები, მრავალი მასალები იყრის თავს. ექსპედიცია სამხედრო მოძრაობაც არის, პოლიტიკურიც, კულტურულიც. ხალხი დაფრთხა, მთებში გაიქცა, შიშის ზარმა აიტანა, მაგრამ ხალხმა, რამოდენიმე დღეში გამოარკვია ყველაფერი და საქმეს შეუდგა. იცნო მან საქართველოს რესპუბლიკის ძალაუფლება, გაიგო არსებობს სახელმწიფო, სახალხო წესებით, მართველობით. მიხვდა, რომ საქართველოს მთავრობას ხალხის არჩეული პირები ხელმძღვანელობს. გვარდია და ჯარი არ ხოცავს ხალხს, და ამისათვის ორიოდე დღე გახდა საკმარისი.

ჩვენს წინ არის მთელი ორი წლის ისტორია თავისი საშინელებით, მტრობით, შურით.

ამ მხრით მრავალი ცნობები გვაქვს და ეს ცნობები სრულიად ემყარება და ადასტურებს ამხ. ვ. ქარცივაძის მოხსენებას, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ და რომლის მოკლეთ მოყვანა აქვე საინტერესოა.

„მთა ოსეთის კითხვა დგას დიდი ხანია. ამას კავშირი აქვს ჩრდილოეთთან და საქართველოს ოსეთის კითხვას იქა აქვს ფესვები მოძრაობას ხელმძღვანელობს ინტელიგენცია, მასსა კი მისდევს ფეხის ხმას. ცხადია მასის ფსიხოლოგიაშიც არის ერთგვარი ტენდენციები. ყოფილი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ფილიევი *) აწარმოებდა ამ პოლიტიკას.

მასთან იყვნენ ესერები. მემარცხენე სოციალისტები, მემარჯვენენი და „ბალშევიკები". საკითხი ცხინვალის გამოიწვია, შემდეგმა გარემოებამ, რაჭის ოსები, საჩხერის, მიერი ქართლის, მოწყვეტილია კულტურულ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცენტრს, ამიტომ ცხინვალი მათ მიზნათ დაისახეს და ბაზათაც აქციეს, ოსური მოსახლეობა მთებშია. ინტელიგენცია დიდი ყავს, ამიტომაც როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ისინი „ბალშევიკურ" მოძრაობაში მოექცენ. ოსურმა ინტელიგენციამ დიდი პლანები დაისახა. ეს იყო მოძრაობის პირველი ხანა. ამ მოძრაობის მეთაურები ფილიევი, სანოკოევი და სხვები აქტიურ ბრძოლის პოლიტიკას აწარმოებდენ და არავითარ მოთხოვნილებას არ ასრულებდნენ. მეორე საბჭოს სათავეში მოექცა ფინიევი (რ. ს. დემ. მ. პ. ჯუღელის მიმდევარი,) ზორაევი (ბალშევიკი) და თიბილოვი (ესერი). აღნიშნულმა პირებმა დასმულ კითხვას გადაჭრას მისცეს ლეგალური ხასიათი, მათ შეიმუშავეს პროგრამა ოსურ მოსახლეობის ადმინისტრატიულ ერთეულის გამოსაჭრელად მათი პროექტი ასეთი იყო: ოსურ მოსახლეობის გასაერთიანებლად და სადმინისტრაციო ერთეულის ჩამოსაყალიბებლად უნდა შევიდეს ერთ ერთეულში ჩასავლის ხეობა (რაჭა), ყემულთა, როკა, ჯავა, ყორნისი, წუნისი, ორთევი და ზელითი. გამოპოვებული იქნა საჩხერის ოსები, ანდორეთი (მეჯვრისხევის რაიონი) და ცხინვალი. აღნიშნული პროექტი დამფ. კრების თვითმართველობის კომისიას გადაეცა. ამ ბოლოს ეს მოძრაობა დაჩრდილა „ბალშევიკურმა" მოძრაობამ.

„ბალშევიკურმა" მოძრაობამ ყოველმხრივ გადაიბა ძაფები. ხოვეში მომხდარი კონფერენცია „ბალშევიკური", რომელიც გაიმართა 14 ივლისს ე. ი. მატარებლის დამსხვრევის მეორე დღეს, შეეხო ოსეთის საკითხსაც. ამ კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა სხვებთან ერთად შოთი (ადგილობ. ზოლინელი) ზორაევი და თფილისელი ინსტრ. „ბალშევიკებისა" ვ ჯუღელავა.

ობოლი მგზავრი.

---

*) ფილიევი ამ ჟამად დენიკინის არმიაში თანამშრომლობს.

მიხეილ იულის ძე ხარჩილავა.

ამა წლის 26 სექტემბერს, ვაგრის ფრონტზე გარდაიცვალა ვახმისტრი, სახ. გვარდიის ცხენოსან დივიზიონისა მიხეილ ხარჩილავა. ვინც კი იცნობდა მას, არ შეეძლო არ დამწუხრებულიყო მისი დაკარგვით. მაგრამ ყველაზე უფრო მიხეილის დაკარგვამ გული დაუთუთქა ტრამვაის რაიონის გვარდიელებს, რომელთა წრიდანაც იყო ცხენოსანთა დივიზიონში ამხ. მ ხარჩილავა. ამხ მიხა გვარდიის დაარსებიდანვე ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ჩვენი სახელოვანი გვარდიის გამოსვლებში და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას სიკვდილის წინაშე უკან დაეხიოს. მან მიიღო მონაწილეობა ბევრ ფრიად მნიშვნელოვან ბრძოლებში და დაჯილდოვებული იქნა მე 4—3 და 2-რე ხარისხის გიორგის ჯვრებით და აი ეს გულწრფელი, მუდამ მკვირცხლი, უშიშარი და თავდადებული მებრძოლი სრულიად შემთხვევით გახდა მსხვერპლი პატარა ჭრილობისა...

მშვიდობით ამხანაგო მიხა! შენს ვაჟკაცურ და გმირულ სახელს არ დაივიწყებს ხალხისათვის თავდადებული სახალხო გვარდიელნი.

თ. ხ—კი.

„მსახიობის დღე"

„მსახიობის დღის" აღსანიშნავად ორ იანვარს გამოვა საგანგებო გაზეთი „მსახიობის დღე". გაზეთის ბეჭდვას უკვე შეუდგნენ.

ორ იანვარს „მსახიობის დღის" აღსანიშნავად სახალხო სახლში ქართული მუსიკალური საზოგადოება დასდგამს ოპერას „ოქმელება შოთა რუსთაველზე", რომლის შემოსავალი გადაეცემა მსახიობთა კავშირს.

ამავე დღეს სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის „ღალატი" ნინო ჩხეიძის მონაწილეობით. პირველ ქართულ კლუბში წარმოდგენილი იქნება „ხამზადიხი"

თფილისის განაპირა უბნის ყველა დრამატიული წრეები და მუშათა კლუბები ორ იანვარს „მსახიობის დღის" აღსანიშნავად გამართავენ წარმოდგენა-საღამოებს, რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცემა მსახიობთა კავშირს.

2 იანვარს „მსახიობის დღის" აღსანიშნავად სადღესასწაულო წარმოდგენა საღამოები გაიმართება გორში, ხაშურში, სურამში, ბორჯომში, შორაპანში, ქუთაისში, სამტრედიაში, ახალსენაკში, ფოთში, ბათომში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, თელავში, სიღნაღში, ველისციხეში, დუშეთში, საიდანაც უკვე მიღებულია ცნობები, რომ ყველგან მოუწყვიათ სადღესასწაულო კომიტეტები „მსახიობის დღის" სათანადო მოსაწყობათ.

ქალაქის სკოლათა მასწავლებლები

უკანასკნელი დეკრეტი ყველა ტიპის სკოლების მასწავლებლების ჯამაგირების ასი პროცენტით გადიდებისა, სამწუხაროდ, საქალაქო სკოლების მასწავლებლებზე ჯერ არ არის გავრცელებული. ქალაქის გამგეობამ მოუმატა მათ მხოლოდ 40 პ-ოც, როგორც სხვა ქალაქის მოსამსახურეებს. ამის შესახებ მასწავლებლებმა აღძრეს შუამდგომლობა საგანგებოთ არჩეულ რწმუნებულთა საშუალებით, რომელთაც მიმართეს განათლების განყოფილების გამგეს თხოვნით. განათ. განყ. გამგე გ. კონიაშვილი დაპირდა მათ, რომ ამ კითხვას დასვამს გადასაჭრელათ მომავალ გამგეობის სხდომაზე.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ქალაქის დემოკრატიული გამგეობა, რომელიც ძალიან დაახლოვებით იცნობს სახალხო მასწავლებლების უმწეო ქონებრივ მდგომარეობას, იცდება ეს კითხვა დადებითად გადასჭრას, მხოლოდ გაუგებრობას ერთი კითხვა იწვევს. საზელდობრ ისა, რომ ქალ. მასწავლებლები იღებენ ჯამაგირს ორ წყაროდან სახელ. ხაზიდან 800 მანეთს და ქალაქიდან 545 მან. პირველ ნაწილზე უდავოთ ვრცელდება აღნიშნული დეკრეტი, მხოლოდ კითხვა იმაშია, მეორე ნაწილზე ქალაქი გაავრცელებს 100 პროცენტს როგორც მასწავლებლებზე, თუ 40 პროცენტს, როგორც ქალაქის სხვა მოსამსახურეებზე? ჩვენ გვგონია, გამგეობამ თავიანთი მასწავლებლები თუ უკეთესში არა, იმ პირობებში მაინც უნდა ჩააყენოს, როგორშიაც სოფლის მასწავლებლები არიან. ისინი კი იღებენ 1000 მანეთს ჯამაგირს ხაზინიდან, ბინას, განათებას, გათბობას და ამას გარდა კიდევ ერობები უმატებენ თავის მხრივ ზოგან 700 მან. და ზოგან 1000 მან. მაგ. დუშეთის, თიანეთის, ბორჩალოს, გორის და სხვა. ასე რომ, ქალაქმა 100 პროცენტიც რომ მოუმატოს მთელ ჯამაგირს, ქალაქის მასწავლებლები მაინც ვერ იქნება შედარებით ისეთ პირობებში, როგორშიაც არიან სოფლის მასწავლებელნი. ჩვენის შეხედულებით ეს უნდა მიიღოს გამგეობამ მხედველობაში კითხვის გადაჭრის დროს და მუდამ დაჩაგრულ და გაჭირებულ მასწავლებლებს, რომელთაც საშუალო განათლების მიღების შემდეგ 15—20 წელი თავიანთი ახალგაზრდობა შეუწირავთ სწავლა აღზრდის საქმისთვის, იქნები მაინც ჰისცეს, რამდენიც მის არსებობის შენახვისათვის იქნება საჭირო.

მასწავლებელი.

რა აკლია ჩვენს მიწის მუშას?

(საკუთარი დაკვირვებანი გერმანიის ცხოვრებიდან).

გერმანელების თითქმის ყველა სამუშაო მიწები წარმოადგენენ ყვითელ და თეთრ ქვიშიანსა და ქვიან უნაყოფო ადგილს. ჩვენი მიწები ბევრათ უმჯობესია.

გერმანიაში საზოგადოთ ჰაერი ჰირნახულისათვის არ არის ხელსაყრელი. ჩვენ რომ გერმანელების ადგილზე ვცხოვრობდეთ, აქამდე გავქრებოდით დედამიწის ზურგიდან.

გერმანელები მიწის დამუშავებას დიდ ყურადღებას აქცევენ. დავანებოთ თავი თვით გერმანიას და მაგალითისათვის ავიღოთ ის გერმანელები, რომელნიც ჩვენში ცხოვრობენ, ყველასათვის ადვილი დასანახავია, ვისაც კი თვალი გადაუვლია მათი ახალშენობისათვის, თუ რა ლამაზათ სახლობენ და რა მშვენივრათ ამუშავებენ მიწას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ჩვენ, ქართველი გლეხები, უფრორე დაკვირვებასა და ცოდნას მოკლებული ვართ.

ჩვენ სიბნელის გამო თუ სხვა მიზეზებით მეურნეობა ვერ გაგვიუმჯობესებია უსწავლელობის და სიღარიბის გამო სხვა ქვეყნები ვერ გვინახავს, მაგრამ რატომ სხვა ქვეყნებიდან მოსულებს მაინც არ მივბაძავთ? აქ კი უზრუნველობა და თან ისიც გვიშლის ხელს, რომ ახალი რაიმეს დაწყებას ზედ მეტ შრომათ ვსთვლით.

ხელოვნურად მიწის გასუქება და დამუშავება რაღაც ღვთის საწინააღმდეგო საქმედ მიგვაჩნია. ეს დიდი შეცდომაა: ამ ქვეყნად ისაა მდიდარი, ვისაც მიწის თვისება შეუსწავლია და ცოდნა შეუძენია. მსოფლიო მეურნეობაში დღეს ცოდნამ და ხელოვნურათ მიწის დამუშავებამ დიდი ცვლილება შეიტანა. ეს რომ ასეა, ამას აქვე დავინახავთ.

გერმანიაში უნაყოფო რაიმე ჰირნახულის მოყვანა ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ მიუხედავათ ამისა იქ გაუერანებულ ადგილს ვერ ნახავთ. მიწაზე უჭირველთ მოჰყავთ რაიმე ჰირნახული, მიწის დასვენებას კი, რაც ჩვენში ჩვეულებრივია, ისინი სრულიად არ სთვლიან საჭიროდ თუმცა გერმანიაში მიწის დიდი სივიწროვეა, მაგრამ ვინაიდან დიდის ცოდნით ამუშავებენ მას ჩვენზე გაცილებით მდიდრულად ცხოვრობენ. არა ერთხელ ამოგვიკითხავს გაზეთებში საყვედური ჩვენში მიწის სივიწროვეზე. ეს ერთის მხრით მართალიც არის. მაგრამ რაც გვაქვს, იმას რომ ვამუშავებდეთ არა პრიმიტიული წესით, არამედ ახალი სამეურნეო იარაღებით და ცოდნით, მაშინ გერმანელებზე ნაკლები ცხოვრება არ გვექნებოდა. ჩვენი ნაზი და უხვი ბუნების წყალობით, მიწის კარგი მოსავლით ჩვენ შეგვეძლია ბევრათ უკეთესათ ვიცხოვროთ, ვიდრე გერმანელები ცხოვრობენ; მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ყველას აცრუებული გვაქვს მუშაობაზე გული და იმ პატარა ნაჭერ მიწასაც აღარ ვამუშავებთ ახლად გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებითა და ცოდნით. ჩვენ რომ სიყვარულითა და გულმოდგინით—ერთობით და კოოპერატიულად მივენდომებოდეთ ჩვენი მიწების დამუშავებას, მაშინ უფრო ნაკლები შრომითა და ხარჯით მეტ სარგებელს მივიღებთ იმ ადგილებიდან, ვიდრე დღემდე ვღებულობთ. მეურნეობა მაშინ ცოცხლობს და წინ მიდის, როდესაც თითოეულ მეურნეს კარგათ შეგნებული და შეთვისებული აქვს სამეურნეო ცოდნა. ჩვენი ეკონომიური საქმიანობა ძლიან ჩამორჩენილია და არც კი შეეფერება XX საუკუნის საქმიანობას. დასავლეთ ევროპის სამეურნეო ტეხნიკამ დიდი სამსახური გაუწია მიწათ-მოქმედებას. ტეხნიკას დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის. მასთან ნურავინ იფიქრებთ, თითქოს წარმოებაში ადამიანის უნარსაც არ ჰქონდეს მნიშვნელობა. როდესაც მუშა სიყვარულით და გულმოდგინეთ ეპყრობა თავის საქმეს, მისი შრომა [illegible] ეს არის მთავარი საქმე, რომელიც ჰქმნის მძლავრ სახელმწიფოს და ბედნიერ ერს,—შრომა და სიყვარულით საქმიანობა. [illegible] —შრომას[illegible]

შეიძლება [illegible]ნიერი ერია დედამიწის ზურგზე, ვინაიდან ისინი, განურჩევლად დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, რა პროფესიის და რა წოდების არ უნდა იყოს ის, ყველა შრომის მოყვარულია. ამისათვის მინდა აქ 3 ტიპი ნიმუში მოვიყვანო: მე ტყვეობაში შევისწავლე კალათების კეთება და ვაკეთებდი იმ დროს, როცა მემამულესთან დანიშნული საათს შევასრულებდი და კვირა უქმე დღეებში. მე ასეთი საქმე სხვასაც გავაზიარე და ვმუშაობდით ერთ ჯგუფში ათ კაცამდე. ერთი ჩვენი ამხანაგი, შრომას ძალიან გაურბოდა და მთელი მოცლილი საათები და უქმე დღეები უბრალოდ ეკარგებოდა, ამას ხედავდა მთელი სოფელი და ერთს კვირა დღეს მეზობელ მემამულის მეუღლე, თავის გასათხოვარი ქალით და აგრეთვე რამოდენიმე მათთან მოსული სტუმრებით მთელს ნახევარს დღეს მეხმარებოდენ კალათების მასალების დამზადებაში. დაინახეს რა რომ ერთი ჩვენი ამხანაგი ჩვენთან აღარ მუშაობდა, ძალიან ნაწყენი დარჩნენ. უმუშევრობა გერმანიაში დანაშაულია. გერმანელების მეურნეობის და ჩვენს მეურნეობის შორის დიდს განსხვავებასა ვხედავთ.

მთელს გერმანიაში რიგზე დამუშავებული სახნავ-სათესი ადგილები, რიგზე დარგული ხეხილი და აგრეთვე ფიჭვნაძვნარის ტყეები მშვენიერ, ხელოვნურათ გაშენებულ ბაღს წარმოადგენენ. მხედველობაში მისაღებია ის, რომ ტყეები უმეტეს ნაწილათ ხელოვნურათ არის გაშენებული. ჩვენში საკმარისია 3—4 წლით ადგილი შევღობოთ, რომ ტყე მოვაშენოთ. გერმანელებმა კი 10—12 წელიწადს უნდა მოუარონ ტყეს ხელოვნურათ დარგვითა და გათოხნით, რათა იგი გახდეს ჩვენი 3—4 წლის ნაკეთებ ტყის მსგავსით.

დიახ, გერმანიაში უნაყოფო ადგილებია, მაგრამ ცოდნით დამუშავებული ბევრათ სჯობია ჩვენსას. ახლა გავიკითხავთ რა საშვალებით მოჰყავთ გერმანელებს თავიანთ უნაყოფო ადგილებში ჰირნახული? რასაკვირველია, ცოდნისა და მეცადინეობის საშვალებით გერმანიაში ისე მაღალ საფეხურზე დგას სამეურნეო კულტურა, რომ [illegible] გერმანელი მუშა დიდი გამოცდილებით აკეთებს ყოველგვარ სამუშაოს, გერმანელი მიწის მუშა ხის ქერქსაც და ხავსსაც არ ჰკარგავს, რომელიც ცვივა ტყეებში და რომელიც ამოდის მიწაზე. გერმანიაში ხის ქერქებს, მიწიდან ამოსულ ხავსსა და ფოთლებს აგროვებენ, მოაქვთ სახლში, უყრიან საქონელს ბოსელში, შემდეგ მალმალე უცვლიან, გააქვთ გარეთ და ყრიან ერთს ალაგას, სადაც ის მანამდის ეყრება, სანამ მიწის ხვნა არ დაიწყება, მერმე აიღებენ, მიაყრიან სახნავ მიწას და ახნევენ მას შიგ, ამას იქ საუკეთესო სასუქათ სთვლიან. ჩვენ ასეთ რაიმეს, აბა, როგორ მივაქცევთ ყურადღებას? ამას გარდა გერმანიაში ხელოვნური სასუქისათვის 200-მდე ქარხანა მუშაობს, რითაც ყოველ გერმანელს საშვალება ეძლევა ხელმისაწვდომ ფასებში შეიძინოს მიწის გამაპოხიერებელი საუკეთესო სასუქი. ამით ის უადვილებს ცხოვრებას თავის ცოლშვილს და აგრეთვე სახელმწიფო მოთხოვნილებასაც ადვილათ აძლევს პასუხს. ერთი ხელოვნური სასუქი მშვიდობიანობის დროს, 1914 წლამდე, ღირდა გერმანიაში ერთი (ცენტერი*) 75—125 ფენიგი**), ისიც მინდა აქვე მოვიყვანო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰირნახულისათვის ხელოვნურ სასუქს. მე თითონ შემხვდა ერთს მემამულესთან მუშაობა, რომელიც თავის მამულში ხმარობდა ასეთს სასუქს და აქვე აღვნიშნავ მისი სარგებლის სინამდვილეს. თითო დესეტინაზე:

ხახუეი კართოფილისათვის 27 ფ. სუპერფოსფატა, 18 ფ. სილიტრა, 24 ფ. 40 პროც. კალია მარილი.

მოსავალი: 1) 1,180 ფ. 2) 1,427 ფ. 3) 1,895 ფ.

საქონლის საკვები ჭარხალი: 20 ფ. კაინიტი, 72 ფ. ტომას შლაკი, 30 ფ. ჩილ. სილიტრა.

მოსავალი: 1) 7,200 ფ. 2) 2706 ფ. 3) 6,000 ფ.

თეთრი პური: 48 ფ. კაინიტი, 30 ფ. სუპერფოსფატი, 10 ფ. ჩილ. სილიტრა.

მოსავალი: 1) 134 ფ. 2) 206 ფ. 3) 238 ფ. ღერო: 1) 266 ფ. 2) 418 ფ. 3) 428 ფ.

შავი პური:

სასუქი—12 ფ. 40 პროც. კალიუმი მარილი, 30 ფ. სუპერ ფოსპატი, 9 ფ. სილიტრა.

---

*) ცენტერი 125 რუსულ გირვანქას უდრის.

**) ფენიგი—ნახევარ კაპეიკს უახლოვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი: 1) 83 ფ. 2) 209 ფ. 3) 158 ფ. ლერო: 1) 227 ფ. 2) 479 ფ. 3) 378 ფ.

შვრია.

სასუქი—24 ფ. ტომასშლაკა, 4 ფ. სილიტრა, 40 კაინიტა.

მოსავალი: 1) 140 ფ. 2) 190 ფ. 3) 85; ლერო: 1) 262 ფ. 2) 306 ფ. 3) 130 ფ.

ქერი:

სასუქი—42 ფ. აზონიაკ. 42 ფ. სუპერფოსფატა, 18 ფ. 40 პროც. კალივოი მარილი.

მოსავალი: 1) 115 ფ. 2) 216 ფ. 3) 144 ფ. ლერო: 1) 221 ფ. 2) 360 ფ. 3) 236 ფ.

ლიუცერინი (სათიბი ბალახია).

უსასუქოთ 1 თიბვაზე 525 ფ. 2) თიბვაზე 360, 3 თიბ. 160 ფ.

სასუქით 60 ფ. ტომასშლაკა.

მოსავალი: 1 თიბ. 645 ფ., 2 თიბ. 450 ფ, 3 თიბ. 228 ფ.

სასუქი 60 ფ., ტომასშლაკა და 60 ფ. კაინიტა,

მოსავალი: 1) თიბ. 975 ფ., 2) 528 ფ., 3) 258 ფ.

გერმანელების მეცადინეობის ერთი საყურადღებო ნიმუში შემიძლია კიდევ დავასახელო: ჩვენ გვქონდა ქ. ცოსსენში (ბერლინამდი 40 კილომეტრია) სამხედრო ტყვეთა ბანაკი (ლაგერი), სადაც 20,000 კაცამდე ვიყავით მოთავსებული. ამ ბანაკის ფეხის ადგილები ასე იყო მოწყობილი: თითოეული ბათალიონის ფეხის ადგილები ცემენტის ორმოებით იყო აშენებული, აქედან მიწის ქვეშ თიხის მილები იყო გაყვანილი 10—12 ვერსის მანძილზე და მთელს ამ მანძილის სიშორეზე განავალით ირწყვებოდა ადგილები შესაფერ დროს. შემოდგომითვე მორწყულ მიწაზე, გაზაფხულზე ითესებოდა ჭირნახული. მასთან თვით ოჯახში სხვადასხვა წყაროდან შექმნილ ნაგავს, როგორიც არის: დამპალი კარტოფილი, ჭარხალი, ქვიტკირის შენობის ნანგრევი კირის და აგრეთვე მთელი ეზოს ნახვეტი, გროვდება მთელს ზამთარის განმავლობაში ერთ ალაგას, მას ეძახიან „კომპოსს“ და უფრო მეტად ასეთი სასუქიდან მომზადებულ ნაგავს ხმარობენ სათიბ საბალახო ადგილების სასუქათ.

ასე მიდის გერმანიაში მიწის დამუშავების საქმე. ჩვენში კი მიწა სამ-ოთხ წელიწადს უნდა დავასვენოთ. გერმანელებს სასუქის საშუალებით ყოველ წელიწადს მოჰყავთ მოსავალი. ჩვენსავით ერთსა და იმავე ჭირნახულს არ სთესენ ყოველ წელიწადს. მაგალითად, წრეულს თუ პურია დათესილი, მეორე წელიწადს სთესენ კარტოფილს, მესამეში—ქერს ან შვრიას, მეოთხეში—საქონლის საკვებ ჭარხალს, მეხუთეში—იონჯას ან ლიუცერინს (ბალახია) და ასე, მთელი ხნის განმავლობაში მიწას მოსვენება არა აქვს.

ყოფილი სამხედრო ტყვე ერისტო
დ. კაპარავა.

(შემდეგი იქნება)

რედაქციისაგან: ჰბეჭდავს რა რედაქცია ამხ. კაპარავას მიერ მოწოდებულ წერილებს, საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი: გერმანია-ავსტრიიდან დაბრუნებული ტყვეები დიდ კულტურულ განძს წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნისათვის. ბევრი მათგანი, ეჭვი არაა, სოფლად დარჩება, ხელს მოჰკიდებს მეურნეობას იმ წესით, როგორც ეს მას გერმანიაში უნახავს, გაუზიარებს სოფლის მუშებს ნახულს შთაბეჭდილებებს და შეძენილ ცოდნას. ასევე მოიქცევიან ის მუშები, რომლებიც ტყვეობის დროს ქარხნებში მუშაობდნენ. ამ ხალხის იქ მუშაობა, მიღებული დისციპლინა, შეთვისებული შრომის სიყვარული და სხვა კულტურული ღირსებები დიახაც რომ თვალსაჩინო მაგალითები იქნება ჩვენი ხალხისთვის! ჩვენის აზრით, ყოფილ ტყვეებს ამგვარ მუშაობაში ყოველმხრივი დახმარება უნდა გავუწიოთ—კრებების გამართვით, საცდელი სამუშაოების მოწყობით და სხ.

ჩვენი რედაქცია განსაკუთრებულის ყურადღებით მოეკიდება და სიამოვნებით დაბეჭდავს ყოველგვარ ცნობას, რომელსაც კი ყოფილ სამხედრო ტყვეს პირადი დაკვირვების ხასიათი ექნება.

პროფესიონალურ კავშირებში

კავშირთა სახლში

26 დეკემბერს პროფესიონალური კავშირების ბინაზე შესდგა მორიგი საბჭოს სხდომა. ამ სხდომაზე სავანგებოთ იყვნენ მოწვეული შრომის სამინისტროდან და ქალაქის თვითმართველობის შრომის განყოფილებიდან, წარსული კრების დავალებით შრომის ბირჟის რეორგანიზაციის შესახებ ამხ. გიკს უნდა გაეკეთებინა ვრცელი მოხსენება. თავმჯდომარეობდა ა. ხელაძე. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: გადასახადების საუბნო კომისიებში წარმომადგენლების არჩევა, მოხსენება შრომის ბირჟის რეორგანიზაციის შესახებ, ზომების მიღება იმ შრომის მიმცემთა წინააღმდეგ, რომლებსაც სასურსათო ფონდში არ შეუტანიათ აქამდე 1.000 მანეთი თავიანთ მუშებზე, განცხადება არსენალიდან ზედმეტი მუშაობის შესახებ. მუშათა სასახლის გახსნა და მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ა. ხელაძე და ამბობს, რომ საუბნო კომისიებში აუარებელი მასალა მოგროვდა და იქ გაგზავნილი ამხანაგები თხოულობენ, რომ შეუმსუბუქონ შრომა და აირჩიონ დამატებითი კანდიდატები, რომლებიც მორიგეობით მათთან ერთად იმუშავებენ. არჩეულ იქნენ: ჩხარტიშვილი, იობაშვილი, დონდუა, კოკიტაშვილი, თავდგირიძე, ვატკინი, დევდარიანი, ჰინჭარაძე, პაჯანაძე, ქვესელი, გარინი ჩიქოვანი და მუხრაძე.

მეორე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს გიკი, რომელიც ამბობს, რომ შრომის ბირჟა აქამდე ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მუშათა ხელის მოთხოვნილებას და მის დაკმაყოფილებას ჰყავდა ბევრი ბატონ-პატრონი, ამას აწარმოებდენ კერძო პირების კანტორები, კავშირებთან შექმნილი უმუშევართა ბიუროები და სხვა, ამით კი შრომის ბირჟის ავტორიტეტი და მუშაობა ძალიან ფერხდებოდა, რადგანაც არ იყო ისეთი კანონი, რომელიც გააუქმებდა ყველა კანტორებს და უმუშევართა საქმის მოწესრიგებას მიანდობდა შრომის ბირჟას, რაც აუცილებლივ დაიხსნიდა მუშებს დაქსაქსვიდან. ეხლა კი, როდესაც შრომის ხელშეკრულება სპობს ასეთ მდგომარეობას, შრომის ბირჟის საქმე უკეთესათ მოეწყობა.

ყველა გადმორიცხული მუშები პროფესიონალური კავშირების ბიუროდან და სხვა კანტორებიდან დაიყოფა შრომის ბირჟაში ორ კატეგორიათ: პირველში მოხვდებიან პროფესიონალური კავშირის წევრები და ალაგზეც ადრე გაიგზავნებიან, მეორეში დანარჩენი. ყველა ადგილებზე გაგზავნა, შრომის ბირჟა ატყობინებს პროფესიონალურ კავშირების გამგეობას, რომელიც ადევნებს თვალ-ყურს თავის პროფესიის უმუშევრების საქმეს, აგრეთვე ყველა დახმარება, რომელსაც უწევდა თავის უმუშევრებს კავშირი, უნდა გადირიცხოს შრომის ბირჟის ცენტრალურ სალაროში. ერთი სიტყვით, ყველა საქმეები უნდა გვარდებოდეს კავშირებთან შეთანხმებით.

მეორე საკითხი არის: ვინ უნდა იყვეს ბატონ-პატრონი შრომის ბირჟისა? არის სამი აზრი: ერთი, რომ შრომის ბირჟას უნდა განაგებდეს პარიტეტულ ნიადაგზე შექმნილი კომიტეტი, მეორე, —ქალაქის თვითმართველობა, მესამე — პროფესიონალური კავშირების საბჭო. ჩემის აზრით, ამბობს გიკი, პატრონი შრომის ბირჟისა უნდა იყვეს პარიტეტული კომიტეტი, რომელშიაც აუცილებლათ უნდა მიიღონ მონაწილეობა შრომის მიმცემებმაც და საერთო ძალით მოგვარდეს, როგორც უმუშევართა სამუშაოს გამოძებნის საქმე, ისე მათი დაზღვევა.

იხსნება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ა. ბახტაძე, ათაბეგოვ-ტუმასი, ტრეიმანი, ელბაქიანი, დობორჯგინიძე, აზატიანი და სხვ.

ა. ბახტაძე ამბობს, რომ ერთმა ჯგუფმა აზატიანის მეთაურობით თუ, ვინ უნდა იყვეს პატრონი შრომის ბირჟისა, მისცეს პრინციპიალური ხასიათი. არსებითათ ეს საკითხი არის ტაქტიკური, მიზანშეწონილობისა და ის აზრი, რომ ჩვენ უნდა გავურბოდეთ პარიტეტულ ნიადაგზე შრომის ბირჟის კომიტეტის მოწყობაში და ჩვენ აუცილებლივ უნდა სათავეში ჩავაყენოთ პროფესიონალური კავშირების საბჭო, არის გამოუდეგარი დღევანდელ პირობებში; ჩვენ ვიცით, რომ სატარიფო პალატა და მომრიგებელი ცენტრალური კამერა არის მოწყობილი პარიტეტულ ნიადაგზე და ამათ დღეს აქვთ მკვიდრი ნიადაგი მუშათა ცხოვრებაში, რადგანაც მუშებს საფუძვლებით ეძლევათ საშუალება ყველგან, დემოკრატიულ საქართველოში, სავსებით დაიცვან თავიანთი ინტერესები, მიუხედავად იმისა, რომ მათთან ერთად ამა თუ იმ დაწესებულებაში მუშაობენ შრომის მიმცემებიც, ამიტომ აუცილებლათ შრომის ბირჟა უნდა მოეწყოს პარიტეტულ ნიადაგზე. რაც შეეხება გიკის მოხსენების იმ ადგილს, სადაც ის ამბობს, რომ შრომის ბირჟამ უნდა აწარმოვოს მუშების დაზღვევის საქმე, ჩემის აზრით ეს არც შედის შრომის ბირჟის საქმიანობაში და ეს საკითხი, როგორც სახელმწიფოებრივი, უნდა იქნას მოწესრიგებული სხვა პირობებში და სხვანაირად. შრომის ბირჟის საქმე კი უმთავრესად უნდა იყოს მუშათა ხელის მოთხოვნილების და მისი დაკმაყოფილების საკითხის მოგვარება. ეს დიდი საქმეა და თუ ეს პირნათლად და სავსებით შესძლო შრომის ბირჟამ, გააკეთებს დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს.

რადგანაც ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია და ამ სხდომაზე ვერ შესძლეს ამის ამოწურვა, გადაიდო საკითხის გარჩევა ერთი თვით და გადასწყდა პროექტი შრომის ბირჟის კონსტრუქციისა დაეგზავნოს ყველა კავშირებს, რომლებიც თავიანთი დასკვნებით საბოლოოდ გადასწყვეტენ ამ საკითხს. მესამე საკითხზე გადასწყდა დაევალოს სეკრეტარიატს აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ დააკანონონ 1000 მანეთის მომარაგების სამინისტროს ფონდში შეტანის აუცილებლობა შრომის მიმცემლებიდან.

გადასწყდა მხურვალე მონაწილეობის მიღება მუშათა სასახლის გახსნაში კვირას, 28 დეკემბერს. სხვა საკითხები გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

ო. ლაცაბიძე.

მეთამბაქოეთა კავშირში

თამბაქოს ქარხანაში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა ქარხნებისა და ფაბრიკების საზოგადოებას: „მირი“ს აქციონერულ საზოგადოების გამგეობამ თავის 26 დეკემბრის მიმართვაში, რომელიც გამოგზავნილი იყო კავშირის გამგეობის სახელზე, განაცხადა, რომ მას არ ძალუძს გადაიხადოს უმუშევრობის დროის ავანსი 6 კვირის სამუშაო ქირის რაოდენობით. ვიღებთ რა მხედველობაში თამბაქოს მწარმოებელ მუშათა კრიტიკულ-მატერიალურ მდგომარეობას, მეორე მხრივ შემთანხმებელ კომისიის ამა წლის 22 დეკემბრის დადგენილებას, რომლითაც მუშები ღებულობენ 6 კვირის სამუშაო ქირას ავანსის სახით (რომელიც უნდა დაიფაროს ჯამაგირიდან 35 პროცენტიანი გამოკლებით) და ვუწევთ რა ანგარიშს იმ მდგომარეობას, რომ შემთანხმებელი კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულოა როგორც თამბაქოს ქარხნის პატრონთათვის, ისე კავშირის გამგეობისთვის, და რომ მოლაპარაკე მხარეებათ არიან ერთი მხრივ ჩვენი პროფესიონალური კავშირის გამგეობა და მეორე მხრივ თამბაქოს ქარხნის პატრონთა საზოგადოება და ამასთანავე აღვნიშნავთ რა, რომ „მირი“-ს ქარხნის აქციონერული საზოგადოება დღემდე განაგრძობს თქვენი საზოგადოების წევრობას, — კავშირის გამგეობა გთხოვთ, თანახმად მომრიგებელ კომისიის დადგენილებისა, „მირი“-ს ქარხანაში მომუშავეთ, რიცხვით 173 კაცს, მიეცეთ უმუშევრობის დროის ავანსი 6 კვირის სამუშაო ქირის რაოდენობით.

— მეთამბაქოეთა პროფ. კავშირის გამგეობამ გადასდო 5,000 მ. „მუშათა კლუბის“ საჭიროებისათვის. ეს ფული გადაეცემა მათ მხოლოდ „მუშათა კლუბის“ საქმის რევიზიის შემდეგ. ამასთანავე გამგეობა სურვილს გამოსთქვამს, რომ კავშირის ყველა წევრები „მუშათა კლუბის“ წევრებათ ირიცხებოდენ.

— ამავე კავშირის გამგეობამ წინადადებით მიმართა მექარხნეთა საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში მათ შეიტანონ 1,000 მანეთიანი გადასახადი სასურსათო ფონდის გასაძლიერებლათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირი პასუხს არ აგებს იმ შედეგებისათვის, რომელიც შეიძლება ამას მოყვეს.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 25 დეკემბერს შესდგა საქართველოს სოც. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. კრებამ მოისმინა თ. ხ—ლის მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, ამხ. ს. თევზაძის—ცენტრიდან საერთო მდგომარეობის შესახებ. მოხსენებები კრებამ მიიღო მხედველობაში და გადავიდა შემდეგ კითხვებზე. მცირე კოლექტივის წარმომადგენლების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიული და კულტურული მუშაობა მიმდინარეობს ჩვეულებრივათ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წარმომადგენელის მოხსენება მათი მუშაობის შესახებ მიღებულ იქნა მხედველობაში. საწევრო გადასახადის შესახებ კრება ავალებს მცირე კოლექტივების წარმომადგენლებს შეეცადონ, რათა წევრებმა პირველ იანვრამდე დააჩქარონ გადაუხდელი საწევრო გადასახადის შემოტანა.

კრებამ თფილისის კომიტეტის მოთხოვნილების დაკმაყოფილება—პირველ იანვრის წარდგენილ იქნას კომიტ.—წლიური ანგარიში, შესაძლებლათ სცნო.

თედო ხუხუნაიშვილი.

მუშათა შორის

თფილისი. 26 დეკემბერს შესდგა კრება გაგნიძის თავმჯდომარეობით სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების შემკეთებელ მუშა-მოსამსახურეთა.

დღიურ წესრიგში შემდეგი კითხვები იყო: 1) საქარხნო კომიტეტის მოქმედება; 2) მუშათა მიღების შესახებ; 3) სირაძის შესახებ და 4) 8 საათის მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გაგნიძემ, რომელმაც დაწვრილებით განუმარტა კრებას კომიტეტის მოქმედება. შემდეგ ამისა კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც იწონებს საქარხნო კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მადლობას უცხადებს მას სინდისიერ მუშაობისთვის.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. კოჩლამაზაშვილმა, რომელიც ამტკიცებდა იმას, რომ ახალ მუშათა მიღება დღევანდელ გარემოებაში დაუშვებელია. კრებამ ამის შესახებ შემდეგი დაადგინა: ვიზიარებთ რა ცუდათ მოსიარულეთა გაჭირვებულ მდგომარეობას, მოვალეთა ვრაცხთ ჩვენს თავს, რათა ხელი შეუწყოთ ქარხნისათვის ახალი საქმის გამონახვას და როდესაც იგი შესრულებულ იქნება, მაშინ თანახმად პროფესიონალურ კავშირისა მიღებულ იქნან ცუდათ მოსიარულე მუშები საჭიროებისამებრ.

მესამე კითხვაზე ილაპარაკა ამხ. გაგნიძემ, რომელმაც ის აზრი გაატარა, რომ ახალი საქმე, რომელიც გასაცემი აქვს სამხედრო სამინისტროს, შუამდგომლობა იქნას აღძრული, რათა იგი არ ჩაუვარდეს ხელში მოიჯარადრე სირაძეს, რომელიც ყოველივე მხრით წინ ეღობება ჩვენს ქარხანას და ცდილობს, რომ საქმე წაგვართვას. შემდეგ ამისა კრებამ დაადგინა: მიენდოს საქარხნო კომიტეტს იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე, რათა ახალი საქმე თუ სულ არა, ნაწილი მაინც დათმობილ იქნას ჩვენ ქარხნისათვის, რომ აცდენილ იქნას ის კრიზისი უსაქმობისა, რომელიც დღეს არსებობს. მივაქცევთ რა ამას სამხედრო სამინისტროს ყურადღებას, იმედს გამოვსთქვამთ უმალ ჩვენ დაგვეხმარება და შეგვისრულებს მოთხოვნილებას, ვიდრე, სხვებს, რომელთა წყალობითაც შეიძლება რამდენიმე ათეული მუშა დარჩეს ულუკმაპუროთ.

მეოთხე საკითხზე ილაპარაკა ამხ. როსომა. კრებამ დაადგინა შემდეგი: ის მუშები, რომელნიც ირიცხებიან ქარხანაში, მოვალენი არიან რათა 8 საათის სამუშაო სინიდისიერათ შეასრულონ. უკე თუ რომელიმე მათგანი უმიზეზოთ მოსცდება სამუშაოზე ან და მუშაობის დროს ცუღლუტობა-ლაზღანდარობას დაიწყებენ და მით სხვასაც მოაცდენენ, ორჯერ გაფრთხილების შემდეგ თანახმად პროფესიონალურ კავშირისა დათხოვნილ იქნებიან ქარხნიდან. დ.

პროვინცია

მუხრანი. (დუშეთის მაზრა) ეს რამოდენიმე კვირაა, რაც მუხრანში დაიწყო მამულების გადასახადების შეგროვება. იქ, სადაც ხალხი კულტურულათ დაწინაურებულია, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს საკეთილდღეოთ ყველამ უნდა თავისი ხვედრი ხარჯი გადაიხადოს. იქ კი, სადაც ხალხი კულტურულათ არის ჩამორჩენილი, თუ ხალხს არ აუხსნეს გადასახადების აუცილებლობა, ადვილი არ არის შეგროვება. ერთს კულტურულათ ჩამორჩენილ სოფელს უნდა მიეწეროს მუხრანიც და საზოგადოთ დუშეთის მაზრა. როდესაც ფულის შეგროვება დაიწყო, ფულის შემგროვებელმა ხალხს წინადადება მისცა რომ, ამა და ამ დრომდე ფული უნდა ჩამაბაროთო. დანიშნულ დრომდე ძლიერ ცოტამ ჩააბარა გადასახადი. ამის შემდეგ მიღებულმა ზომებმა ნაკლებათ უშველა საქმეს. მცხოვრებლებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სასტიკმა ზომებმა. სარგებლობენ რა ამ ხალხის უკმაყოფილობით, მტრები ხშირათ ხალხს ეუბნებიან: „ძველი მთავრობა გეჯავრებოდათ, ახალი უარეს დღეს გაყენებთო“. უნდა აღინიშნოს, რომ დუშეთის მაზრის ერობა სრულებით არ არის დაახლოვებული აქაურ გლეხებთან, არ მოდიან ხშირათ, არ უხსნიან ხალხს ჩვენს მდგომარეობას, კანონებს და სხვები კი ყველა თავისებურათ უხსნის. რომ ხალხისთვის განემარტებინათ ყველაფერი, არავინ არ იქნებოდა გადასახადების წინააღმდეგი და თავიდან აცილებული იქნებოდა როგორც სასტიკი ზომები, აგრეთვე ხალხის უკმაყოფილება. ხშირი შემთხვევაა, აქაურ მცხოვრებელს დაავალებენ ფულის შეგროვებას, ის შეაგროვებს და შესჭამს. როცა წინეთ მამულების გადასახადებს იხდიდენ, დუშეთის ხაზინიდან ღებულობდენ დაბეჭდილ ბარათს, ახლა კი პატარა ქაღალდზე ფულის შემგროვებელი კარანდაშით აწერს რომ, მივიღე ფული ამადა ამდენი დესეტინისო. არც ფულის მიღების რიცხვსა სწერავენ, არც ფულის რაოდენობას. ხშირათ იძახიან მცხოვრებლები: „რა ვიცით ჩვენი მიცემული ფული მიაღწევს მთავრობამდე ან კარანდაშით დაბლაჯნილ ქაღალდში ამდენი ფული როგორ მივცეთო“.

ხოფელელი.

ხ. გუთური (ჩოხატაურის თემი). დიდიხანია მას შემდეგ, რაც ამ სოფელმა აირჩია სამკითხველოს გამგეობა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოეწყრიგებია სამკითხველოს საქმე და ჩვენც მიგვებაძა იმ სოფლებისათვის, რომლებიც ამ მხრივ ჩვენზე წინ დგანან. ვფიქრობდით სამკითხველოს საქმე გაუმჯობესდებოდა მაგრამ, სამწუხაროთ, ისიც დავკარგეთ, რაც გვქონდა. ნათქვამია: „დღლეულს დამპალი სჯობიაო“; გასულ წელს თითო-ოროლა გაზეთი მაინც მოგვდიოდა და თავისუფალ დროს ქუჩაში მაინც წავიკითხავდით და შეძლების დაგვარათ გავეცნობოდით მეზობელ ხალხთა მდგომარეობას; დღეს კი არც ეს არის. სამკითხველო ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომლის საშუალებითაც შეუძლია სწავლა-განათლებას მოკლებულ მიწის მუშას ცოტათ თუ ბევრათ გაეცნოს რა ხდება მის გარშემო. აი ასეთი სასარგებლო დაწესებულება არას დროს არ ყოფილა გუთურში სასურველად მოწყობილი. დღეს აგერ ხუთი თვე იქნება, რაც აქაურ სამკითხველოს სახელზე ერთი ცალი გაზეთიც არ მიგვიღია.

ორი-სამი წელიწადი იქნება მას შემდეგ, რაც ადგილობრივ კოოპერატივმა და გულკეთილმა ამხანაგებმა აღმოუჩინეს სამკითხველოს დახმარება ფულით, მაგრამ ეს ფული ჩვენთვის უსარგებლოთ გდია ამდენი ხნის განმავლობაში. ეს ფული სულ კერძო პირების ხელში იყო და მხოლოდ ისინი სარგებლობდენ ამით. დროა გამგეობის წევრებმა, რომლებიც კარგა ხანია არჩეულნი არიან, საქმეს მოჰკიდონ ხელი და იკმარონ ამდენი ძილი.

მოხუცის შვილი.

კატორღელების თხოვნა

(წერილი რედაქციის მიმართ).

მოწ. რედაქტორო! როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისის საპყრობილე გაკეთდა ცენტრალურ საკატორღო საპყრობილეთ. აქ უკვე მოხდა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან კატორღელთა კონცენტრაცია და 500-მდე კატორღელი ვიმყოფებით, ჩვენ ჩამოშორებულნი სრულიად ფიზიკურ შრომას და გონებრივ განვითარებას, დიდი უმრავლესობა ვჩლუნგდებით გონებრივათ და ვსნეულდებით ფიზიკურათაც. ამისათვის ჩვენ დავისახეთ მიზნათ თვით კანონის მიხედვით, სასჯელთან ერთად ციხე გარდაიქმნას ტუსაღებისათვის აღმზრდელ ბინათ, რისთვისაც ჩვენ ვითხოვეთ სადაც ჯერ არს დაარსებულ იქნას სამკითხველო, იკითხებოდეს ლექციები, ბაასი და სხვა. აგრეთვე აღვძარით შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ დაარსონ სახელოსნოები, თუ სხვადასხვა სამუშაოები. ამუშავებენ რა ათასობით მომქმედ ხელს, მილიონ ხარჯებისაგან იხსნიან რესპუბლიკას. ჩაებმებიან რა ტუსაღები ფიზიკურ მუშაობაში და იმეცადინებენ რა სისტემატიურათ, ეს დიდ გავლენას მოახდენს, გარდაქმნის მათ, რომლებიც განთავისუფლების შემდეგ მოევლინებიან ქვეყანას უკვე აღზრდილნი, ნასწავლი და მშრომელნი. გამოვსთქვამთ რა ამ მიზნების განსახორციელებლათ სურვილს, მოგმართავთ თქვენ თანაგრძნობისათვის და გთხოვთ დაგვეხმაროთ და მოგვაწვდინოთ ორი ეკზემპლიარი თქვენი პერიოდული გამოცემისა და აგრეთვე სხვა რაიმე წიგნაკები.

მონდობილობით კატორღელთა
ერთი ჯგუფი.

P. S. ეს წერილი მიმართულია ყველა რედაქციების, გამომცემლების და საზოგადო დაწესებულებებისადმი. ვსთხოვთ ყველა რედაქციებს გადასტამბონ.

განცხადებანი

მე მელანია ხერხეულიძისამ

დავკარგე ვაჟი

13 წლის ხაშა ივანეს ძე ხერხეულიძე, რომელიც სწავლულობდა გორის სასულიერო სასწავლებელში. მნახველს ვსთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: ვერის შესახვევი № 21, რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

(3440—1—1)

თვალის ექიმი

ზ. მ. ცხვედაძე

იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი.

(თ. 3322)

ექიმი ქალი რ. ვ. [illegible]-[illegible] [illegible] დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას [illegible] წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი ა. ლ[illegible]

შინაგანი და ქალთა სნეულებანი, ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. [illegible] ნეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—8 საათ. კრილოვის ქ. № [illegible] ბინა 3.

(თ.3372

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა [illegible]-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

3230—თ.

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (ბავშვთა ავადმყოფის ახლოს) ტელეფ. 14—60.

(თ.—2662.

ექიმი ნ. დ. [illegible]

იღებს შინაგან, ბავშვთა და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს.

(თ.—3023)

ექიმი მ. ბ. [illegible]

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებები. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ქალ. სამტრედიაში

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლობა „606“ და „914“) ვენერიულ (ტრიპერი და მისი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35.

(2[illegible]50—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბიბურიშვილი.

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28

(თ. 3065).

ექიმი კ. ტუშმალიშვილი

ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე.

(2925)

ოზურგეთში

ექიმი ხ. ვ. ახაშიძე

მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით, ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით“ და „ფოსფაციდით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით, ქ. სიმაიშვილის სახლში.

(კუპ. 582)

ექიმი დ. ა. ხარაძე.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 27, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)

ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 10—11 ნახ.

ექ. გართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.

ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საეკუშერო ყოველ დღე 10—11.

ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.

ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბავ. ყოველ დღე 1—3.

ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.

რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. აპერაცია შეთანხმებით. „606“ და „914“.

(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.

შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო.

(2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ [illegible]

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, (ზემელის აფთიაქის ახლოს).

(2795—თ.)

ექიმი ა. დ. [illegible]

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“, მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს, მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოვ“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.